საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გაძღოლა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 16 ივნისი. 2020 წ. №74 (9000) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

დონ ბეიკონი: დოკუმენტის ეს ნაწილი მე არ დამიწერია, ტექსტის შედგენაზე ტექნიკურმა ექსპერტებმა იმუშავეს!

ამერიკელმა კონგრესმენმა დონ ბეიკონ-მა კომენტარი გააკეთა დოკუმენტზე, რომელშიც „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი და ვიქტორ მედვედჩუკი რუსეთის პრეზიდენტის ახლო მოკავშირეებად არიან მოხსენიებულნი.

გადაცემა „Пограничная ZONA“-სთვის მიცემულ ინტერვიუში კონგრესმენმა აღნიშნა, რომ დოკუმენტის ეს ნაწილი მას არ დაუწერია და საამისოდ ტექნიკური ექსპერტები აიყვანეს.

„მე ამ დოკუმენტის ეს ნაწილი არ დამიწერია. ჩვენ ტექნიკური ექსპერტები ავიყვანეთ, რომლებიც დაგვეხმარნენ დოკუმენტის შედგენაში. მე ამ დოკუმენტის სტრატეგიული ნაწილით ვიყავი დაკავებული. ჩვენ საქართველოსთან ახლო ურთიერთობები გვსურს. საქართველო ჩვენი მეგობარია. ქართველი ხალხი ჩვენი მეგობარია. იგივე შემიძლია უკრაინაზე ვთქვა“, — განაცხადა კონგრესმენმა.

რედაქციისგან:

ამ საკმაოდ მრავლისმეტყველ განცხადების შემდეგ, იმის თქმა „რომ ამ ე.წ. ოპოზიციამ და ნაცტელევიზიებმა კიდევ ერთხელ გვაჩვენეს თავიანთი ნამდვილი სახე“ უკვე ძააალიან გაცვეთილია და აღარავის არ აღაგზნებს.

საინტერესო იქნება იმის მოკვლევა, თუ ვინ მიაწოდა იმ ტექნიკურ პერსონალს ინფორმაცია და რამდენი გადაიხადა ამ „ინფორმაციის“ წერილში ჩასმისთვის.

გასაგებია, რომ ჩვენს სამართალდამცავებს ამაზე ხელი არ მიუწვდებათ, მაგრამ ამის გაკეთება თავისუფლად შეუძლიათ იმ კონგრესმენებს და თავად ბატონ ბეიკონს, რომელთაც, არც მეტი, არც ნაკლები, ყალბ დოკუმენტზე მოაწერინეს ხელი, რაც დარწმუნებული ვართ, რომ აშშ-ის კანონმდებლობით ისჯება.

ხელისუფლებას აქვს მარტივი ამოცანა — დასავლურ გავლენიან მედიაში გამოაქვეყნოს ინფორმაცია ამ ფაქტის შესახებ. მოუწოდოს ბეიკონს და იმ დანარჩენ კონგრესმენებს საკუთარი რეპუტაციის გადარჩენისთვის გამოიყენონ მათ ხელთ არსებული შესაძლებლობები.

არც ახლა გჯერათ, რომ ჟორიკა რურუა ჩათლახი არამზადაა?!



საქართველო რუსეთის ხელისუფლების მსგავსად ებრძვის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, — ამის შესახებ „მთავარი არხის“ ერთ-ერთმა მეწილემ გიორგი რურუამ სასამართლო პროცესზე განაცხადა.

როგორც რურუამ გუშინ მორიგ სასამართლო პროცესზე იბჟუტურა, მის მიმართ წაყენებული ბრალდება აბსურდულია, სიმართლის დადგენას არ ემსახურება და პოლიტიკური ზეწოლის საშუალებაა. „მინდა, შევეხო ჩემ წინააღმდეგ მიზანმიმართულად აგორებულ რუსული ხელწერით შექმნილ პროპაგანდას, რომელიც სახელისუფლებო მედიაში ვრცელდება.

რუსეთის ხელისუფლებაც პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს ამავე მეთოდებით ებრძვის. მინდა, შეგახსენოთ, რომ იგივე ბრალდებებით გამოირჩეოდა ხელისუფლება, ტროლების ქარხანა თუ მედია 2012-ში, 2016-ში და 2020 წელსაც, რაც არჩევნებს წინ უსწრებს ხოლმე. ამით ხელისუფლება ჩვენში დაბნეულობის შემოტანას ცდილობს.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს აბსურდული ბრალდება მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური ზეწოლის საშუალებაა და სიმართლის დადგენას არ ემსახურება, — განაცხადა ჟორიკა რურუამ...

ცნობისთვის, სასამართლო პროცესი გუშინ დიდხანს გრძელდებოდა. დაცვის მხარის სამი მოწმე, „ევროპული საქართველოს“ წევრები, ირაკლი აბესაძე, სერგო რატიანი და ლევან თარხნიშვილი დაიკითხნენ. როგორც ოპოზიციის წარმომადგენლები აცხადებენ, გიორგი რურუა პოლიტიკური პატიმარია და მისი საქმე არ ემყარება არანაირ სამართლებრივ მტკიცებულებებს. აღსანიშნავია, რომ სასამართლო პროცესის პარალელურად, მოძრაობა „შეცვალეს“ წევრები აქციას მართავდნენ და აცხადებდნენ, რომ, თუ გიორგი რურუა პატიმრობაში დარჩება, 8 მარტის შეთანხმება არ ჩაითვლება შესრულებულად.

სწორედ ამაზეა ნათქვამი — „სად ერეკლე და სად თავზეხელაღებული ჟორიკა რურუა“!..

ⓞ აქაოდა, ჩემიაო!

გვარამია-წკვარამიას ვერბალური ფალარათი!

ანუ როგორ შეურაცხყო მან ელჩი კელი დეგნანი

არ უყურეთ? ნეტავი, გეყურებინათ! გვარამია რომ პოლიტიკური წკვარამია და უღირსებო სააკაშვილის ყურმოჭრილი გამხმიანებელია, დღეს მთელმა ქვეყანამ იცის! მაგრამ ამ კვირა საღამოს მაინც ყოველგვარ საზღვარს გადასცილდა. ლანძღა, მაგრამ რა ლანძღა, რა ბრუნვაში არ აბრუნა და ატრიალა ოცნებელი ქალბატონები: რაღა არ უწოდა სოფო კილაძეს, ნათია თურნავას, თეა წულუკიანს. რომ ჰკითხო, ვითომ ევროპული გზის მიმდევარია, არადა, სად ნახა, რომ ევროპელი ინტელიგენტი ასე უშვერად, ასე უწმაწურად, ასე უხამსად ლანძღავდეს თუნდაც ოპოზიციონერ ქალბატონებს (SIC!)?!

კარგი, ვთქვათ, ეს პოლიტიკური მოწინააღმდეგეები არიან. კი, ბატონო! მაგრამ თავისი მოკლე ჭკუით (თავიც რომ პუმპულა ნესვს უგავს!) მამაძაღლურად (საწყალი ანზორ გვარამია!) შეფუთა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის კელი დეგნანის შეხვედრა ქვეყნის გენერალურ პროკურორთან, რომელიც ელჩთან საუბრისას თურმე რატომღაც თვალებსაც არ ახამხამებდა (რატომ უნდა ეხამხამებინა, ნეტავი?!) ელჩმა პირდაპირ უთხრაო, მომავალ არჩევნებზე აღარ უნდა განმეორდესო ამომრჩევლის მოსყიდვა, დაშინება და, საერთოდ, საარჩევნო მოძალადეობაო. ეს მაშინ, როცა ქალბატონმა დეგნანმა პირიქით თქვა ყოველივე — კერძოდ კი, იმედია, რომ საქართველოს პროკურატურა ამ არჩევნებშიც, როგორც ყველა წინა არჩევნებისას, შეებრძოლება ამომრჩევლის მოსყიდვას, დაშინებას და, მით უმეტეს, სახელისუფლებო რესურსის ბოროტად გამოყენებასო.

ალბათ, ამერიკის საელჩოს პრესსამსახური უთარგმნის და გააგებინებს ქალბატონ ელჩს, რა უსინდისოდ ცდილობს, მთავარი არხის (თუ მტარვალი ბრახის!) მფლობელი გვარამია-წკვარამია ქართველი მსმენელ-მაყურებლის კიდევ და კიდევ მოტყუებას. არადა, როგორც ქალბატონი დეგნანის, ისე თვითონ პრეზიდენტ ტრამპის აზრით (26 მაისის მილოცვის გამო), ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს ურთიერთობა არასოდეს არ ყოფილა ასეთ მაღალ დონეზე?

ვის ატყუებ, უდღეურო ანზორიჩ? დროზე მიხედე მაგ შენს პოლიტიკურ ვერბალურ ფაღარათს, თორემ მთელი ეგ ბოღმიანი გულმკერდი და შხამიანი არხის ეკრანი სულ გაგიქაქიანდა!

ფუი, აყროლებულ ეშმაკს!

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 18 ივნისს

გიორგი გახარია: პატარა საქართველო შეძლებს თავისი ფუნქციის შესრულებას!

დღევანდელი კრიზისი არის კიდევ ერთი კარგი შესაძლებლობა, სადაც პატარა საქართველოს შეუძლია, თავისი ფუნქცია შეასრულოს, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ლოპოტას ტბაზე დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე განაცხადა.

„მინდა, ეს ჩვენი შეხვედრა იყოს არაფორმალური, მეგობრული იდეების, აზრების გაცვლისთვის, ამიტომ შევარჩიეთ ეს ადგილი და წარმოიდგინოთ, რომ თქვენ ხართ, როგორც ტურისტები დღეს კახეთში. ეს არის ჩვენი ძირითადი მიზანი. თუმცა, ყველას კარგად გვესმის, რომ გამოწვევა არის გლობალური. ის უკვე გადავიდა სერიოზულ ეკონომიკურ კრიზისში და ყველას კარგად გვესმის, რომ არათუ პატარა საქართველო, დიდი, ძლიერი, სისტემური ქვეყნებიც ცალკე აღებული, ამ გლობალურ გამოწვევას ვერ გაუძლებენ, ვერ გაუმკლავდებიან და ვერ დაამარცხებენ. ამიტომ ეს კრიზისი, ჩვენი დღევანდელი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი კრიზისი, არის კიდევ ერთი კარგი შესაძლებლობა, კიდევ უფრო მეტი სოლიდარობა გამოვიჩინოთ ერთმანეთის მიმართ, ეს არის კიდევ ერთი შესაძლებლობა, სადაც პატარა საქართველოს შეუძლია, მისი ფუნქცია შეასრულოს, თვითონ, თავის ტერიტორიაზე, თავის სახელმწიფოში, თავის ქვეყანაში სწორად მართოს ის რისკები, რომლებიც მოაქვს ვირუსს, შეძლოს ვირუსის შეჩერება, შემდგომ შეძლოს მკურნალობა მოქალაქეების და ამით შესაბამისი ფუნქცია შეასრულოს გლობალურად ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში“.

„ყველა იმ ადამიანის საყურადღებოდ, ვისაც არ გჯერათ“!

COVID-19-ით გარდაცვლილი მე-14 პაციენტის ახლობელი ნატო ანთია სოციალურ ქსელში წერს:

„ყველა იმ ადამიანის საყურადღებოდ ჩემს მეგობრებში, ვისაც არ გჯერათ, რომ კორონა არსებობს ან გჯერათ, რომ ეს თქვენ არ დაგემართებათ, ან თუ დაგემართებათ, იოლად გადაიტანთ. ახლახან გარდაიცვალა ჩემი მეგობრის მამა, უმაგრესი და ძალიან ჯანმრთელი ადამიანი, რომელიც 2 თვეზე მეტი ებრძოდა ამ ვერაგ ვირუსს. მას არ ჰქონდა არანაირი ქრონიკული დაავადება და სწორედ ამ ვირუსმა გაანადგურა მისი ორგანიზმი, რამაც სამწუხაროდ სიკვდილი გამოიწვია. არავინ ვიცით, ჩვენზე რა გავლენა ექნება. ამიტომ არ გვინდა ეს კაფე-ბარებში სიარული, სახალხო პიკნიკები და სახლის წვეულებები, საპროტესტო ვაი-ვიშვიში, როგორ გვატყუებენ და გამოგვკეტეს. ეს ვირუსი არსებობს და დაიჯერეთ, სანამ თქვენ ან თქვენი ახლობლები იმავე ბედს გაიზიარებთ. მოვუფრთხილდეთ საკუთარ თავს და ერთმანეთს“, — წერს ნატო ანთია.

სად იქნება სავალდებულო პირბადის ტარება?

მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა ნათია მეზვრიშვილმა გუშინ საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განმარტა, თუ სად იქნება სავალდებულო პირბადის ტარება. ეს ადგილებია:

- **საჯარო და კერძო დაწესებულებების მისაღებში, სადაც ყველაზე მეტად არსებობს მოქალაქეებთან შეხების ალბათობა;**
- **საჯარო და კერძო დაწესებულებებში გამართულ შეხვედრებზე, შეკრებებისას, სადაც შეუძლებელია 2-მეტრიანი დისტანციის დაცვა;**
- **შეხვედრებზე, თავშეყრისას გამომსვლელს/მომხსენებელს შეუძლია, არ გამოიყენოს პირბადე გამოსვლისას, მოხსენებისას/პრეზენტაციის გაკეთებისას, თუ ადამიანს შეუძლია 2-მეტრიანი სოციალური დისტანციის დაცვა;**
- **საერთო სარგებლობის ლიფტებში, სავაჭრო ობიექტებში. ესაა მაღალი რისკის შემცველი სივრცეები;**
- **სილამაზის სალონებსა და ესთეტიკური მედიცინის ცენტრებში;**
- **ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;**
- **საზოგადოებრივ ტრანსპორტში, მეტროში, ტაქსიში.**

საქართველოს პარლამენტმა პირბადის ტარების სავალდებულო წესთან დაკავშირებით საკანონმდებლო ცვლილებები 12 ივნისს მესამე მოსმენით დაამტკიცა. დღეს მთავრობამ პირბადის ტარების წესის შესახებ დადგენილება მიიღო, რაც იმას ნიშნავს, რომ პირბადის ტარების წესის დარღვევისთვის ჯარიმები დღეიდან ამოქმედდა.

ადმინისტრაციული სანქციების მიხედვით, დახურულ საჯარო სივრცეში თავშეყრისას პირბადის ტარების წესის დარღვევა, ან პირბადის არმქონე პირის დახურულ საჯარო სივრცეში დაშვება გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 20 ლარით, ხოლო დახურული საჯარო სივრცის მფლობელი იურიდიული პირი 500 ლარით დაჯარიმდება.

საზოგადოებრივი ტრანსპორტით, მეტროპოლიტენით და ტაქსით გადაადგილებისას პირბადის ტარების წესის დარღვევისთვის, მგზავრი და მძღოლი 20 ლარით დაჯარიმდებიან. მოქალაქეებს, რომელთაც პირბადის ტარება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ, საშუალება ექნებათ, შესაბამისი ცნობა აიღონ და ჯარიმა აღარ დაეკისრებათ. მათ ცნობა თან უნდა ატარონ და საჭიროების შემთხვევაში წარადგინონ.

„დიდი პაუზის“ შემდეგ საქართველოში საწვავმა გაძვირება დაიწყო!

ბოლო პერიოდში საერთაშორისო ბირჟებზე 1 ბარელი ნედლი ნავთობის ღირებულება 40 დოლარის ფარგლებშია. წინა თვეებთან შედარებით, ფასმა მკვეთრად მოიმატა, განსაკუთრებით, ივნისის დასაწყისიდან მოყოლებული. მიზეზი რთული გამოსაცნობი არ არის. მსოფლიო ეკონომიკა აღდგენას იწყებს, თუმცა ნავთობის გაძვირების ტემპი მაინც ზედმეტად უსწრებს პროცესებს, ამიტომ უცხოელი ანლიტიკოსები უახლოეს პერიოდში ფასების ვარდნას ელოდებიან, მით უფრო, რომ მთელ მსოფლიოში არსებული მარაგები მაქსიმუმზეა, ხოლო ამერიკაში საერთოდაც ისტორიული პიკი დადასტურდა.

მსოფლიო პანდემიის გამო დაწესებულმა შეზღუდვებმა საერთაშორისო ბაზრებზე ფასების მკვეთრი ვარდნა გამოიწვია და რეკორდულ მინიმუმს მიაღწია. ამერიკული „ლაითის“ ტიპის ნავთობის ფასი მინუსშიც კი გადავიდა. ამან დადებითი გავლენა მოახდინა ნავთობპროდუქტების იმპორტიორ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც, სადაც საწვავის ღირებულება თითქმის განახევრდა.

ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მას შემდეგ, რაც მსოფლიომ დაიწყო ეტაპობრივი აღდგენა პანდემიის შემდეგ, ჩინეთში ნავთობზე მოთხოვნამ აშშ-სა და ევროპაში მოთხოვნას გადაუსწრო. უფრო და უფრო მეტი სატვირთო ტანკერი მიემართება ჩინეთისკენ. ეს ქვეყანა სიდიდით მეორეა მსოფლიოში ნავთობის მოხმარების მიხედვით აშშ-ის შემდეგ. ჩინეთისკენ მიმავალი სატვირთო სუპერტანკერების რიცხვმა უკვე გადააჭარბა წინა რეკორდულ მაჩვენებელს, რომელიც დაახლოებით 2 კვირის წინათ დაფიქსირდა.

საერთაშორისო კვლევებისა და პროგნოზირების ცენტრის ვიცე-პრეზიდენტი, ფინანსისტის **ნიკა შენგელია** აზრით, ფასის ზრდის ტენდენცია გაზრდილი მოთხოვნითაა განპირობებული, რაც მოსალოდნელი იყო. მისივე პროგნოზით, „შავი ოქროს“ ფასი 35-45 დოლარის ფარგლებში შენარჩუნდება.

„მოლოდინი იყო, რომ ივნისის მეორე ნახევრიდან, ერთი ბარელის ღირებულება 35-45-დოლარიან შუალედში შევიდოდა.

ეს ჩვეულებრივი პროცესია, რადგან მსოფლიოში რეცესია სრულდება, ადამიანები სახლებიდან გამოდიან და საზოგადოებრივი ტრანსპორტი და ავიამიმოსვლა აღდგენის ეტაპზეა. აქედან გამომდინარე, ნავთობზე მოთხოვნა იზრდება და ფასიც მატულობს. სავარაუდოდ, ეს პროცესი გაგრძელდება და ნავთობის ღირებულება 35 დოლარზე მაღლა შენარჩუნდება“, — განაცხადა შენგელიამ.

ამასობაში საქართველოში საწვავის გაძვირება დადგა დღის წესრიგში და მცირე ავტოგასამართ სადგურებზე უკვე 10 თეთრითაც მოიმატა 1 ლიტრი ბენზინისა თუ დიზელის ღირებულებამ. საქართველოში საწვავის ფასწარმოქმნას ორი ფაქტორი განაპირობებს: ნავთობის ფასი საერთაშორისო ბაზრებზე და ვალუტის გაცვლითი კურსი, რომელიც ბოლო დროს მყარდება.

საქართველოს ნავთობიმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარის **ვანო მთვრალაშვილის** ინფორმაციით, საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასი მარტის შემდეგ ყველაზე მაღალ ნიშნულზეა, რაც როგორ ოპეკის შეთანხმებამ, ისე საწვავზე მოთხოვნის ზრდამ განაპირობა.

„კარანტინის პერიოდში საწვავზე ფასი საცალო ქსელში, საშუალოდ, 70-80 თეთრის ფარგლებში იყო, მაგრამ იმის გამო, რომ საერთაშორისო ბაზარზე უკვე ფასებმა გეზი ზრდისკენ აიღო, საქართველოს საბითუმო ბაზარზეც მოიმატა ფასმა. ეს ცალკეულ ქვეყნებშიც გამოიწვევს ცვლილებებს. ამის შედეგია, რომ ზოგიერთ არაბრენდირებულ გასამართ სადგურზე, საშუალოდ, 5-10 თეთრით გაძვირების ტენდენციაა“, — განაცხადა მთვრალაშვილმა.

მოკლევადიან პერიოდში ბრენდულ გასამართ სადგურებზე ფასები შეიძლება იგივე დარჩეს, ხოლო არაბრენდულებზე ისევ შეიცვალოს და მცირედით კიდევ გაიზარდოს.

ეკა ბაძრაძე

რაცა ვართ, ესა ვართ!



დავით გადელია: კარგად ვხედავ, რა უბედურება ტრიალებს ჩვენთან – ყველა ტელევიზიაში!

„რთული დრო უდგას ჟურნალისტიკას საქართველოში... პრინციპში, ადვილი და გადასარევი არც არასდროს ედგა – რაც არ უნდა გაოცდეთ, ყველაზე თავისუფალი შევარდნაძის დროს და თანაც მანამდე იყო, სანამ მოქკავშირის ახალგაზრდული, ზურა ჟვანიას ფრთა საბოლოოდ და სრულად დაიქვემდებარებდა!

ამის შემდეგ მხოლოდ კუნძულები დარჩა აქა-იქ თავისუფლების... მართლაც გამორჩეულმა, ინტელექტუალმა და ამავე დროს, ტაქტის მქონე ჟურნალისტებმა დატოვეს თავიანთი ტელევიზია და არის ერთი ამბავი – სად გადავლენ. სად უნდა გადავიდნენ? რომელი ტელევიზიაა თავისუფალი და არა მიკუთვნებული პოლიტიკურ მიმდინარეობას? სად აშუქებენ პირუთვნელად და ობიექტურად ქვეყანაში პოლიტიკურ საკითხებს? ან არაპოლიტიკურსაც კი... არის სადმე, სადაც არ აძლევენ პოლიტიკურ მიზანშეწონილობას?

ამიტომაც მათი მისია შეუსრულებელია! ან პროხელისუფლებრივ ტელევიზიებს უნდა მიაშურონ, სადაც ასევე გამოირიცხა განსხვავებული აზრი, ან ოპოზიციურებს – სადაც გაჭაჭანებაც კი არაა ობიექტივიზმის! რა თქმა უნდა, კარგია, როცა მედიის თვალს არ რჩება ხელისუფლის ნებისმიერი გადაცდომა. კარგია კი არა, ჰაერივით აუცილებელია! მაგრამ, როცა ტელევიზია პოლიტიკური მიზანშეწონილების გამო ტყუილების, დაბრალებების მეთოდებს იყენებს და მხოლოდ ერთი მიმართულებით იხედება – ის შიგადაშიგ სიმართლეც იკარგება და აღარ ენდობი...

ძალიან ცუდადაა საქმე... რა ვიცი, შეიძლება, მთელ მსოფლიოში ასეა და ობიექტურობა სანატრელია ჟურნალისტიკაში – მე ცუდად ვიცი მათ შესახებ; სამაგიეროდ, კარგად ვხედავ, რა უბედურება ტრიალებს ჩვენთან... თანაც ყველა ტელევიზიაში!“, – წერს ფეისბუქზე ვახტანგ ბოჭორიშვილის სახელობის კლინიკის გენერალური დირექტორი დავით გადელია.

2020 წლის მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს საუკეთესო ათეული

განათლების კოალიციის ინიციატივით და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან პატრნიორობით მიმდინარე „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ კონკურსის ფარგლებში საუკეთესო ათეული გამოვლინდა, რომელთაგან ერთ-ერთი 5 ოქტომბერს მასწავლებლის მსოფლიო დღეს, მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მფლობელი გახდება. გარდა ამისა, მას, ფულადი პრიზის სახით, კამპანიის გენერალური სპონსორისგან – „გუდავაძე-პატარკაციშვილის“ ფონდისგან 10 000 ლარი გადაეცემა. საუკეთესო ათეულის დანარჩენ წევრებს ლიბერთი ბანკი დააჯილდოვებს.

მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს საუკეთესო ათეული სკოლის ლიდეროობის ეროვნული კონკურსის ფინალისტებმა დაასახელეს, ესენი არიან:

ციცინო გოგაძე – წალკის მუნიციპალიტეტის, სოფელ გუმბათის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;

სოფიო გოგოხია – აფხაზეთის №10 საჯარო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;

სალომე გოჩოლეიშვილი – ბოლნისის მუნიციპალიტეტის, სოფელ ქვემო-არქევანის საჯარო სკოლის ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელი;

ნათელა დავითაია – სენაკის მუნიციპალიტეტის, წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის ისტორიის მასწავლებელი;

ივანე დიდებელი – ორბეთის საჯარო სკოლისა და კერძო სკოლა „ახალი თაობის“ ინგლისური ენის მასწავლებელი;

მარინე ვართუმაშვილი – ქალაქ გორის №12 საჯარო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი;

ანა კინწურაშვილი – თბილისის კერძო სკოლა ქორალის მათემატიკის მასწავლებელი.

მარინე ფორჩხიძე – რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი;

თეონა შერაზადიშვილი – ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ღარის და სიმონ სხირტლაძის სახელობის ქალაქ ონის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;

ელზა ხარშილაძე – საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზარის საჯაროს სკოლის ფიზიკის მასწავლებელი.

მასწავლებლის ეროვნული ჯილდო განათლების კოალიციის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, 2017 წლის 13 მაისს დაწესდა. აღნიშნული ინიციატივა საქართველოში უკვე მეოთხედ ხორციელდება და ის მასწავლებელთა პოპულარიზაციისკენ მიმართული გლობალური კამპანიის – „The Global Teacher Prize“ ნაწილია.

კონკურსის გენერალური სპონსორია „გუდავაძე-პატარკაციშვილის“ ფონდი, მხარდამჭერები არიან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (სეს), ლიბერთი ბანკი, ტელეკომპანია იმედი, საზოგადოებრივი მაუწყებელი და მარკეტინგული კომპანია 4MEDIA.



18-მილიარდიანი ბიუჯეტის ცვლილებების განხილვა დასრულდა, პროექტს ერთი მოსმენით დაამტკიცებენ

ოპოზიციის ვარაუდი, რომ მმართველ პარტიას დამარცხების ეშინია, არალოგიკურია, – ამის შესახებ პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა გია ვოლსკიმ განაცხადა. მისივე თქმით, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებაზე გადაწყვეტილებას მხოლოდ „ქართული ოცნება“ არ იღებს და ამაში ოპოზიციაც მონაწილეობს.

„არჩევნების ვადის გადაწევა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საგანგებო ვითარებაა. საგანგებო ვითარება თუ შეიქმნა სახელმწიფოში, ამას მარტო „ქართული ოცნების“ პარტიული „ლიდერშიპი“ კი არ დაადასტურებს, ეს იქნება საქვეყნოდ აღიარებული თემა, მათ შორის, ჩვენი ოპონენტების მიერ.

ცდილობენ, ეს რეალობა გამოიყენონ პოლიტიკური განცხადებებისთვის და ამბობენ, თითქოს „ქართულ ოცნებას“ არჩევნების დეკემბერში ჩატარება აწყობს. საზოგადოება სასიკვდილო საფრთხის წინაშე არ უნდა დადგეს, ეს თვითონაც კარგად იციან. არც მალავენ, ამბობენ ამას, მაგრამ ჟურნალისტების საყურადღებოდ ამატებენ, თითქოს „ქართულ ოცნებას“ უნდა გადაწევა. დამარცხების შიში გვაქვს და რაც უფრო გვიან დამარცხდებიან უკეთესიაო? – არალოგიკურია, არ მინდა, სიტყვა „სისულელე“ გამოვიყენო“, – განაცხადა ვოლსკიმ.

გიორგი კაკაურიძე: ჩვენ ვალი ავიღეთ, რათა ქვეყანა სრულად დაგვეზღვია პანდემიის გავრცელებისგან

ჩვენ ვალი ავიღეთ იმისთვის, რომ სრულად ყოფილიყო ქვეყანა დაზღვეული როგორც ეკონომიკური კრიზისის პირობებში, ასევე, პანდემიის გაგრძელების შემთხვევაში, – განაცხადა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გიორგი კაკაურიძემ ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ სხდომაზე 2020 წლის ბიუჯეტში ცვლილებების პროექტის წარდგენისას. როგორც კაკაურიძემ აღნიშნა, წარმოდგენილი სცენარის მიხედვით, გროვდება, დაახლოებით, 2,5 მილიარდი ფინანსური რესურსი იმისთვის, რომ საჭიროების შემთხვევაში ბიუჯეტი მზად იყოს შესაბამისი ხარჯების გასაწევად.

„რა თქმა უნდა, ვალი გვეზრდება, წლის ბოლოსთვის მისი მაჩვენებელი 55%-ს გადააჭარბებს. ეს კარგი არ არის, თუმცა, ჩვენ ვალი ავიღეთ იმისთვის, რომ ქვეყანა სრულად ყოფილიყო დაზღვეული როგორც უფრო ღრმა ეკონომიკური კრიზისის, ისე პანდემიის გაგრძელების შემთხვევაში. წარმოდგენილი სცენარის მიხედვით, ჩვენ 2.5 მილიარდის ოდენობის ფინანსურ რესურსს ვაგროვებთ და თუ დაგვჭირდა მეტი თანხის მობილიზება, ბიუჯეტი ამისთვის მზად იქნება. თუმცა, ვიმედოვნებთ, რომ მეორე ტალღა არ იქნება უფრო რთული. ჩვენ ეს რეზერვი უნდა გამოვიყენოთ მომდევნო წლებში ვალის შემცირებისთვის. ვფიქრობთ, ეს არის პიკი და ჩვენ მომდევნო 2-3 წელიწადში, ვალის მოცულობას მშპ-თან მიმართებაში მნიშვნელოვნად შევამცირებთ და 55%-იანი ზღვრიდან 50%-ზე დაბლა ჩამოვალთ“, – აღნიშნა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, გიორგი კაკაურიძემ.

საქართველოს რკინიგზა დღეს ყველაზე უსაფრთხო ტრანსპორტია

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილის პაატა იმნაძის განცხადებით, საქართველოს რკინიგზა საკმაოდ კარგად მოემზადა და მატარებლით მგზავრობა დღეს ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხოა.

„იქ გაცილებით უფრო მარტივია მგზავრების კონტროლი, სახელობითი სიებით არის ბილეთები. ასე რომ, რკინიგზა ყველა სხვა ტრანსპორტს შორის არის ყველაზე უსაფრთხო“, – დასძინა პაატა იმნაძემ. მთავრობის დადგენილების თანახმად, სარკინიგზო მიმოსვლა 15 ივნიდან განახლდა. საქართველოს რკინიგზაში აცხადებენ, რომ კომპანია მზად არის, მგზავრების უსაფრთხოდ გადაყვანისთვის და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დაწესებული რეგულაციების შესრულებისთვის.

8 სოფლის უწყვეტი წყალმომარაგებისთვის ახალი სისტემები აშენდება

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ სილნაღის მუნიციპალიტეტის 8 სოფლის უწყვეტი წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად ახალი სისტემების პროექტირება-მშენებლობაზე ტენდერი გამოაცხადა.

კომპანიის ინფორმაციით, საქართველოს მთავრობის დაფინანსებით სოფლების წყლის სისტემის პროექტირება-მშენებლობისთვის 27 მილიონი ლარია გათვალისწინებული. წინადადებების მიღება მიმდინარე წლის 13 ივლისს დასრულდება. პროექტი ითვალისწინებს სოფლების ტიბაანის, ანაგას, ბოდბისხევის, ქვემო ბოდბეს, საქობოს, ვაქირის, ჯუგაანისა და ქვემო მაღაროს უწყვეტი წყლის მიწოდებით უზრუნველყოფას. სამუშაოების ფარგლებში მოეწყობა სრულიად ახალი გამანაწილებელი ქსელი და ჭაბურღილები, ასევე აშენდება ახალი რეზერვუარები და საქლორატორო.

რიკოთის საავტომობილო გვირაბში მოძრაობა დროებით იკრძალება

საქართველოს **რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის 143-ე კმ-ზე მდებარე რიკოთის საავტომობილო გვირაბში, საავტომობილო გზის სავალი ნაწილის დაზიანებული ადგილების ასფალტ-ბეტონით შევსების სამუშაოების წარმოების მიზნით, 2020 წლის 16 ივნისს 06:00 სთ-დან 12:00 სთ-მდე, იკრძალება ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა.**

დროის აღნიშნულ პერიოდში სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობა განხორციელდება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რიკოთის გვირაბის შემოსავლელ საავტომობილო გზაზე. აღნიშნული რეჟიმით მოძრაობა განხორციელდება საპატრულო პოლიციის უშუალო ზედამხედველობით და კოორდინაციით.



ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲯᲐᲑᲘᲠᲐᲫᲔ: ᲗᲣ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲠᲩᲔᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐᲓ, ᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲘᲐ, ᲘᲡ ᲘᲧᲝᲡ ᲡᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ

ᲕᲘᲜ ᲘᲫᲜᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲨᲘ? ᲐᲛ ᲙᲝᲜᲢᲔᲥᲡᲢᲨᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲓᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲡ, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲒᲐᲮᲢᲐᲫᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ. ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲡᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, „ᲜᲣ ᲕᲬᲕᲐᲠᲝᲑᲗ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ“...

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲒᲐᲣᲒᲔᲑᲠᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲨᲘ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐᲛ, ᲠᲐᲪ ᲔᲙᲐ ᲑᲔᲡᲔᲚᲘᲐᲛ „ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲡᲠᲣᲚ ᲙᲐ�პᲘᲢᲣᲚᲐᲪᲘᲐᲓ ᲓᲐ ᲮᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲜᲐᲭᲠᲘᲡ ᲐᲤᲠᲘᲐᲚᲔᲑᲐᲓ ᲨᲔᲐᲤᲐᲡᲐ. ᲐᲠᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲧᲝᲤᲘᲚ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔᲡ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲡᲘᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲨᲔᲡᲗᲐᲕᲐᲖᲐ. ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔᲛ ᲓᲐᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲑᲔᲕᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜᲐᲪ, ᲗᲣᲙᲘ ᲛᲐᲡ ᲔᲥᲜᲔᲑᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ. ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲡᲐᲛᲖᲐᲓᲘᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ�კᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ for.ge ᲞᲝᲚᲘᲢᲝᲚᲝᲒᲘ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲯᲐᲑᲘᲠᲐᲫᲔᲡ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ.

— ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘᲐ, ᲕᲘᲜ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ „ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲨᲘ — ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ, ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ, ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔ? ᲗᲣ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘᲐ ᲓᲐ Ო�პᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲖᲔ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲡ?

— „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲨᲘ ᲕᲘᲜ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲐᲛᲐᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲞᲘᲠᲨᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲘᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲔᲑᲐ ᲖᲔᲦᲕᲘᲗ ᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲓᲐ ᲔᲡ ᲖᲔᲦᲕᲘᲗ ᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲘᲡᲔᲕᲔ, ᲠᲝᲒᲠᲝᲠᲪ „ᲜᲐᲪᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ“ ᲬᲘᲠᲕᲔᲚ ᲜᲝᲛᲔᲠᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ, „ᲜᲐᲪᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ“ ᲣᲙᲐᲜᲐᲪ ᲓᲐ ᲖᲔᲦᲕᲘᲗᲐᲪ ᲓᲒᲐᲡ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ. ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲘ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲛᲐᲠᲗᲐᲕᲔᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲜ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲡ, ᲐᲠ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲠᲔᲐᲚᲣᲠ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲣᲚᲜᲘ. ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲗᲣ ᲙᲘᲜᲭᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲐᲠᲝᲡ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲛ, ᲡᲯᲝᲑᲡ, ᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲨᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐᲓ ᲗᲣ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲐᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲔᲡᲘ, ᲔᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲨᲔᲔᲡᲐᲑᲐᲛᲔᲑᲐ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲝᲓᲔᲚᲡ. ᲔᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲙᲐᲠ�გᲘ ᲓᲐ �გᲐᲛᲝᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲪᲘᲔᲚᲘ. ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲘᲛᲐᲡ, ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲘᲡ ᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲨᲘ ᲧᲝᲤᲜᲐ ᲮᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲤᲠᲘᲐᲚᲘᲐ თუ არა, Ო�პᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ �გᲐᲮᲐᲠᲘᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲑᲡ 20 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲡ, ᲘᲡᲔᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲑᲡ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲕᲠᲘᲚᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲠᲫᲔᲚᲨᲘ ᲩᲐᲯᲓᲝᲛᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲡ.

— ᲗᲥᲕᲔᲜ ᲐᲛᲑᲝᲑᲗ, ᲠᲝᲛ Ო�პᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ �გᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚ Ო�პᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ ᲐᲠ ᲰᲧᲐᲕᲡ Უ�პᲘᲠᲝᲑᲝ ᲐᲢᲐᲛᲐᲜᲘ, ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲒᲐᲜᲬᲘᲠᲣᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲐᲛᲐᲕᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘ ᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ, ᲓᲘᲓᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲑᲜᲔᲕᲐ?

— თუკი საუბარია მთლიანი ოპოზიციის ლიდერზე, ისევე, როგორც თავის დროზე ლიდერი იყო ივანიშვილი, ან სააკაშვილი, ასეთი ლიდერი დღეს ოპოზიციას ნამდვილად არ ჰყავს, მაგრამ წამყვან ოპოზიციურ პარტიას ჰყავს არაფორმალური ლიდერი და ეს არის მიხეილ სააკაშვილი. რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ გაერთიანებული ოპოზიციიდან, რომ ლიდერი არ ჰყავთ, ასეთი ლიდერი მათ ჰყავთ.

— რამდენად დამაჯერებელია „ქართული ოცნების“ მოლოდინი, რომ ოპოზიციის საერთო რეიტინგი 35-40% იქნება, რაც „ოცნებისთვის“ არჩევნებში გამარჯვების ფორმულაა?

— დღეს ხელისუფლებას გარკვეული უპირატესობა შესაძლოა, მართლაც ჰქონდეს, ოღონდ ასეთ კატასტროფულ პროცენტებს — 35 და 40%-ს მე ნამდვილად ვერ ვხედავ. ამ ეტაპზე გამომდინარე ბევრი ფაქტორიდან, მათ შორის, კორონას ფაქტორიდან, მათ შორის, იქიდან, რომ ჯერ საზოგადოება ამ ვირუსის გავლენის ქვეშაა და ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციები მხოლოდ ახლა იწყებს მოქმედებას, ეს მონაცემები შესაძლოა, რეალობასთან ახლოს იყოს, მაგრამ ხვალ ასე იქნება თუ არა, ეს არის მთავარი. ქვეყანა ძალიან მძიმე გამოწვევების წინაშეა. მეორეც, ოპოზიცია ჯერჯერობით სრულად ჩამოყალიბებული არ არის. ჩვენ როდესაც ვნახავთ, როგორი იქნება საარჩევნო კოდექსი და რა ვითარებაში მოუწევთ პარტიებს ბრძოლა მანდატებისთვის, შემდეგ უფრო შესაძლებელი იქნება იმის დაკონკრეტება, როგორი იქნება საარჩევნო ოლქები, რომელთა რაოდენობაც 30-ია, მაგრამ რომელი რეგიონები იქნება მოცული და ვინ იქნებიან მაჟორიტარები, ამას დიდი მნიშვნელობა ექნება. ამის შემდეგ შეეძლება „ოცნებას“ რეალურად ლაპარაკი, ოპოზიციას ყველა ვარიანტში მოუგებს თუ არა.

— დასახელდა „ევროპული საქართველოს“ კანდიდატურები. წინმსწრებად ცნობილია, რომ უგულავას ფოთში წარადგენენ, ბაქრაძეს — ისანში, ხოშტარიას — ვაკეში, ღვინიაშვილს — კახეთში, სერგი კაპანაძეს და კაკო ბობოხიძეს — იმერეთში, ბოკერია კი პრემიერად უნდათ. ზემოთ ჩამოთვლილი ძველი სახეები რამდენად მომგებიანია არჩევნებისთვის? მათ ფონზე ახალ პარტიაში გაერთიანებული დამოუკიდებელი დეპუტატები ამბობენ, რომ საზოგადოება დაიღალა უაზრო პოლიტიკით, ხალხს პოზიტიური დღის წესრიგი სჭირდება. როგორ ფიქრობთ, ე.წ. დამოუკიდებელი დეპუტატები რას შესთავაზებენ ქვეყანას, არსებობს კი პოზიტივი ქვეყანაში, რომ შესთავაზონ ამომრჩეველს?

— დავიწყოთ იმით, რომ შესაძლოა, ძველ სახეებს არ ჰქონდეთ იმის რესურსი, დამატებითი ელექტორატი მიიზიდონ, მაგრამ მათ ჰყავთ საკუთარი ელექტორატი. თქვენ მიერ დასახელებულ კანდიდატებს „ევროპული საქართველოდან“ თავიანთი ელექტორატი ჰყავთ და არც ისე ცოტა ელექტორატია ეს, თუკი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს შევხედავთ. რაც შეეხება ე.წ. დამოუკიდებელ დეპუტატებს, გასაგებია, მათ შორის ახალი სახეებიც არიან, მაგრამ ჯერჯერობით მათ ის პრობლემაც აქვთ, რომ თავიანთი ელექტორატი არ ჰყავთ. დღემდე ისინი მოვიდნენ „ქართული ოცნების“ საერთო ელექტორატით. ახლა, როდესაც ისინი დამოუკიდებელ ჯგუფს აყალიბებენ, გაჰყვება კი „ქართული ოცნების“ ამომრჩეველი მათ? თუნდაც „ოცნების“ მხარდამჭერთა მცირე ნაწილი გაჰყვება?

თუ ზვიად კვაჭანტირაძესა და გედევან ფოფხაძეს არ ჩავთვლით, იქ ვინც არის, საკმაოდ გამოუცდელია, ანუ სულ რაღაც ორი კაცია, რომელთაც იციან, რა არის არჩევნები და როგორ უნდა წარმართონ იგი. ეს არჩევნები ასე მარტივიც არ არის. გასაგებია, რომ არსებობს ელექტორატი, რომელიც არც „ქართული ოცნებისაა“ და არც „ნაციონალური მოძრაობის“ და ეს ელექტორატი ეძებს მესამე ძალას, მაგრამ ვერ ვხედავ, რომ ჩვენი ამომრჩეველი მესამე ძალად აღიქვამდეს დამოუკიდებელ დეპუტატებს. ამასთან, მესამე ძალის პრეტენზია აქვს „ლელოსაც“, ალეკო ელისაშვილსაც, შემოდის ანა დოლიძეც, ანუ საკმაოდ ფართო სპექტრია.

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ
ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲜᲝᲖᲐᲫᲔ

ᲐᲤᲮᲐᲖᲣᲠᲘ ᲗᲮᲘᲚᲘ VS ᲔᲜᲒᲣᲠᲰᲔᲡᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ!..

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲒᲐᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲡ?



ᲝᲙᲣ�პᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲛᲝᲙᲚᲣᲚᲘ ᲝᲗᲮᲝᲖᲝᲠᲘᲐ-ᲢᲐᲢᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲬᲐᲛᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲐᲜᲣᲐᲡ ᲓᲔ ᲤᲐᲥᲢᲝ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲢᲐᲜᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲐᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲗ ᲒᲐᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲔᲑᲓᲐ.

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲙᲘ ᲘᲡᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲡ ᲒᲐᲕᲘᲓᲜᲔᲜ, „ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ ᲛᲝᲘᲮᲛᲐᲠᲡ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲠᲐᲝᲠᲓᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐᲡ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ“ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲖᲔ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲮᲚᲐᲓᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲓᲔ ᲤᲐᲥᲢᲝ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲐᲠᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ...

— ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ „2020NEWS“-ᲗᲐᲜ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡᲐᲡ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲛᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲨᲘ **ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲐᲠᲔᲨᲘᲫᲔ** ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ.

ᲐᲠᲔᲨᲘᲫᲘᲡ ᲗᲥᲛᲘᲗᲕᲔ, ᲐᲜᲣᲐᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐᲖᲔ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲗ, Ე.Წ. ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲫᲐᲚᲔᲑᲡ ᲓᲔ ᲤᲐᲥᲢᲝ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲘᲡ ᲐᲡᲚᲐᲜ ᲑᲟᲐᲜᲘᲐᲛ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲣᲡᲕᲐ.

ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲔ ᲤᲐᲥᲢᲝ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ Ე.Წ. ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ?

ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ — ᲠᲐ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲛᲝᲘᲢᲐᲜᲝᲡ ᲝᲙᲣ�პᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲛᲐᲚᲔᲥᲔᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲩᲐᲓᲔᲜᲘᲚ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲨᲘ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲢᲐᲜᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲛᲐᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲗ ᲒᲐᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲔᲑᲓᲐ. ᲡᲣᲤᲗᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲐ.. ᲛᲔ ᲐᲠ ᲛᲐᲮᲡᲮᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲡᲘᲡᲐᲡᲢᲘᲙᲔ ᲩᲐᲔᲓᲘᲜᲝᲡ. ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲐᲛᲐᲖᲔ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲐᲠ ᲛᲐᲥᲕᲡ.

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲐᲜᲣᲐ ᲘᲛ ᲒᲕᲐᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲪ ᲡᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡᲢᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲘ ᲩᲐᲛᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲙᲚᲔᲡ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲒᲕᲐᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲔᲑᲡ ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲙᲐᲪᲠᲘ ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲐ ᲐᲠᲗᲮᲝᲕᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲓᲐ, ᲠᲐᲪ ᲓᲠᲝᲡᲐᲪ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲐᲜᲣᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲔᲒᲔ ᲑᲐᲜᲐᲙᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ ᲓᲐᲓᲒᲐ.

ᲡᲣᲚ ᲔᲡᲐᲐ, ᲠᲐᲪ ᲛᲐᲡᲖᲔ ᲛᲐᲮᲡᲮᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲐᲜᲣᲐᲡ ᲘᲔᲠᲐᲠᲥᲘᲣᲚ ᲙᲘᲑᲔᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲡᲛᲔᲜᲘᲐ. ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲡ, ᲐᲛᲐᲨᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘᲐ, ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ **ᲛᲔᲠᲐᲑ ᲥᲘᲨᲛᲐᲠᲘᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲔᲚᲘᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲖᲔᲐ.**

ᲐᲡᲚᲐᲜ ᲑᲟᲐᲜᲘᲐᲛ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲔᲡᲮᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐᲖᲔ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲐ ᲐᲜᲣᲐ.

ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲜᲣᲐᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲜᲢᲐᲓ ᲗᲣ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲐᲓ, ᲑᲟᲐᲜᲘᲐᲛ ᲓᲐᲣᲜᲘᲨᲜᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲥᲘᲨᲛᲐᲠᲘᲐ, ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲮᲔᲓᲕᲘᲗ. ᲔᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐ ᲙᲘ ᲤᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘᲐ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲘᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲐᲡᲝᲪᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲜᲣᲐᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲡᲘᲡᲐᲡᲢᲘᲙᲘᲗ ᲩᲐᲓᲔᲜᲘᲚᲘ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ.

— „ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲐᲜᲣᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲝᲛᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲘᲑᲠᲫᲝᲓᲐ. ᲘᲡ ᲘᲧᲝ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲜᲐᲔᲠᲗᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ. ᲠᲝᲛ ᲒᲘᲗᲮᲠᲐᲗ, ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲐᲛᲘᲗ ᲗᲐᲕᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲩᲘᲜᲐ-ᲗᲥᲝ, ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲡᲣᲤᲗᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის 20 000-მდე უძრავი ძეგლი ამშვენებს!

UNESCO-ს არამატერიალური მემკვიდ-რეობის ნუსხაში შესაყვანად გაგზავნილია სანომინაციო ბარათი „ქართული სუფრის ტრადიცია“;

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ წლიური ანგარიშის პრეზენტაცია გამართა, რომელშიც მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა მიიღო მონაწილეობა. ღონისძიება ვარძიაში გაიმართა და სააგენტოს ხელმძღვანელმა ნიკოლოზ ანთიძემ საზოგადოებას 2019 წელს განხორციელებული და მიმდინარე პროექტები წარუდგინა. ღონისძიებას ფონდ „ქართუს“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეტიანი, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი სოზარ სუბარი, ადგილობრივი და სხვა რეგიონების ხელისუფლებისა და საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ნიკოლოზ ანთიძემ თქვა, რომ საქართველოში აღნუსხულია კულტურული მემკვიდრეობის 20 000-მდე უძრავი ძეგლი, რომელთაგან სამი – „მცხეთის ისტორიული ძეგლები“ „გელათის მონასტერი“ და „ზემო სვანეთი“ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი. კაცობრიობის არამატერიალური მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში კი „ქართული მრავალხმიანობის“, ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდის, ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურისა და ქართული ჭიდაობის სახით საქართველოდან ოთხი ელემენტია წარმოდგენილი. განხორციელდა და კვლავაც გრძელდება გრანდიოზული პროექტები, როგორიცაა მუცო, სოფელი ჩაჟაში, ვარძია, უფლისციხე, ნოქალაქევის ნაქალაქარი, კუმურდოს, აწყურისა და გელათის კათედრალები, დადიანების კომპლექსი ზუგდიდში, სენაკის თეატრი, და ა. შ. სხვადასხვა ქალაქში გაცოცხლდა ურბანული ძეგლები, რომელთა რიცხვი 5 ასეულს აღემატება.







განსაკუთრებით აღსანიშნავია ვარძიის კომპლექსის რეაბილიტაცია და ვარძიის ღვთისმშობლის ტაძრის კედლის მხატვრობის კონსერვაცია ხანძრის შემდეგ. ჭვარტლის ღრმა ფენებით დაფარული უნიკალური ფრესკების, მათ შორის, თამარის გამოსახულების გაწმენდის ხანგრძლივი, ზედმიწევნით ზუსტი პროცესი წარმატებით დასრულდა. კედლის მხატვრობის აღდგენის პროცესში საერთაშორისო სპეციალისტებიც მონაწილეობდნენ.

სააგენტოს ხელმძღვანელმა ნიკოლოზ ანთიძემ მადლობა გადაუხადა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მოვლის პროცესში სახელმწიფოს მთავარ პარტნიორს –ფონდ „ქართუს“, რომლის დაფინანსების წილი სახელმწიფოს დაფინანსების წილს აღემატება.

2019 წელს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ დააფინანსა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების რესტავრაცია-კონსერვაციისა და ინფრასრუქტურული მოწყობის 51 პროექტი, ხოლო ფონდი „ქართუს“ ძალისხმევით 75 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაცია განხორციელდა, ჯამში 126 ძეგლი.

კლდის ძეგლების პროაქტიული დაცვისა და კონსერვაციის მიმართულებით განხორციელდა ვარძიის კომპლექსის მონიტორინგისა და გამაგრების პროგრამა, ვანის ქვაბების კლდის მდგრადობისა და ჰიდროგეოლოგიური კვლევა, უფლისციხის კლოდოვანი მასივების მულტიდისციპლინარული და დავით გარეჯის კომპლექსის საბერეების მონასტრის ჰიდროგეოლოგიური კვლევა, მომზადდა კაცხის სვეტის ლაზერ-სკანირებული ანაზომებისა და კლდოვანი სტრუქტურის შეფასების პროექტი.

აღსანიშნავია განხორციელებული პროექტების საერთაშორისო წარმატებებიც. მუცოს რეაბილიტაციის პროექტმა ევროპული მემკვიდრეობისა და „ევროპა ნოსტრას“ საზოგადოების რჩეულის ჯილდო დაიმსახურა. პროექტმა ევროპის მრავალმილიონიანი საზოგადოების აქტიური მხარდაჭერა მოიპოვა. ევროპის საბჭოს 21-ე საუკუნის ევროპის მემკვიდრეობის საუკეთესო გამოცდილების ოქროს კოლექციაში სააგენტოს 2 პროგრამა – კულტურული მემკვიდრეობის „ერთიანი საინფორმაციო ბაზა და პროგრამა „საბავშვო არქეოლოგია“ შევიდა.

2019 წელს დაიწყო ისრაელის წმინდა მიწასა და იორდანიაში ქართული რელიგიურ-საგანმანათლებლო კერების არქეოლოგიური კვლევები. ხოლო კვიპროსის რესპუბლიკაში გაგრძელდა წინა წლებში დაწყებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის პროცესები. ასევე, 2019 წელს ევროპის ქვეყნებში ნიკო ფიროსმანის ფერწერული ნამუშევრების წარმატებული გამოფენები გაიმართა.

2020 წელს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ ხორციელდება პროექტები: ნოქალაქევისა და ალევის კომპლექსები, გრემი, ლესია უკრაინკას მუზეუმი, ზემო თიესელი, ენგურის ტურისტულ ზონა და სხვა. ასევე მიმდინარეობს არქეოლოგიური კვლევა-ძიება კულტურული მემკვიდრეობის 18 ობიექტზე. გრძელდება სააგენტოს, საქართველოს საპატრიარქოსა და კომპანია „არემჯი გოლდს“ შორის შეთანხმებული 4-წლიანი პროგრამა (2018-2021), რომლის ფარგლებში ხორციელდება ფიტარეთისა და ალავერდის მონასტრების, ჭელიშის, ძველი შუამთის, სამშვილდის ნაქალაქარის, სათხეს ეკლესიისა და ბოლნისის სიონის რეაბილიტაცია.

2020 წელს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი მონაცემთა ბაზის საერთაშორისო პლატფორმაზე შეიქმნა სერვისები, რომლებიც დაინტერესებულ მოქალაქეებს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციას ინტერაქტიულ რეჟიმში აწვდიან. ასევე, ამოქმედდა უძრავი ძეგლების ვირტუალურ-შემეცნებითი ტურების პროექტი, რომელიც ახლო მომავალში მნიშვნელოვნად გაიზრდება და რამდენიმე ათეულ ძეგლს მოიცავს. საბავშვო-საგანმანათლებლო პროექტების მიმართულებით სასწავლო-შემეცნებითმა გაკვეთილებმა გეოგრაფიული არეალი გააფართოვა და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ქართული სათვისტომოებისა თუ მკვიდრი მოქალაქეების თვალსაწიერის გამდიდრების ეფექტურ საშუალებად იქცა.

UNESCO-ს არამატერიალური მემკვიდრეობის ნუსხაში შესაყვანად გაგზავნილია სანომინაციო ბარათი „ქართული სუფრის ტრადიცია“, რომლის განხილვა კონვენციის პირობებით 2020-2021 წლების ციკლში მოხდება

პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა საქართველოში მოგზაურობა დაიწყო

ზურაბიშვილმა პირველად ლამისყანაში, ქსნის ერისთავების ციხესიმაგრე მოინახულა. როგორც ზურაბიშვილმა განმარტა, შიდა ტურიზმის გახსნასთან დაკავშირებით ის აპირებს მოინახულოს საქართველოს ისტორიული ადგილები.

მისივე თქმით, ის შეეცდება, შიდა ტურიზმით დაინტერესებული ადამიანებისთვის აღმოაჩინოს აქამდე უცნობი ტურისტული მარშრუტები. ცნობისთვის, პრეზიდენტის მოგზაურობის დეტალების შესახებ ინფორმაცია ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნდება.

ტურისტული სექტორი შიდა ტურიზმისთვის გაიხსნა

15 ივნისიდან ტურისტული სექტორი შიდა ტურიზმისთვის გაიხსნა“, განაცხადა ბათუმის მერმა ლაშა კომახიძემ ვიცემერთან და მერიის სამსახურების წარმომადგენლებთან შეხვედრისას.

კომახიძის თქმით, ჩვენს მოქალაქეებს უკვე აქვთ შესაძლებლობა ესტუმრონ ბათუმს.

„აღსანიშნავია, რომ საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, რომელმაც შიდა ტურიზმი გახსნა. მოგეხსენებათ, რომ ბათუმი ევროპის ყველაზე უსაფრთხო მიმართულებების ტოპ ათეულშია. ბათუმში აქტიურად მიმდინარეობს ტურისტული სეზონისთვის მზადება. 8 ივნისიდან სასტუმროებმა ახალი რეგულაციების მიხედვით დაიწყო მუშაობა. სასტუმროები აღჭურვილი და გადაწყობილია უსაფრთხოების წესების შესაბამისად. მერიის მუნიციპალური ინსპექცია, საქართველოს ჯანდაცვის სპეციალისტებთან ერთად, რეგულარულად აწარმოებს ტურისტული ობიექტების, სასტუმროების, ღია და დახურული ტიპის აუზების, კაფე-ბარების, სილამაზის სალონებისა და ესთეტიკური ცენტრების მონიტორინგს. ამ დროისთვის უკვე შემოწმებულია 240-ზე მეტი ობიექტი.

სასტიკი და დაუნდობელი „პოლიტიკური ეპიდემია“

ევროპის კონტინენტზე გავრცელდა მრისხანე ანტიისლამური ეპიდემია კოდური სახელწოდებით „ჯვაროსნული ლაშქრობები“

ამ ბერძნული ტერმინით მოიხსენიება საყოველთაო გადამდები დაავადებები, რომლებიც სასიკვდილო საფრთხეს უქმნიან კაცობრიობას. თუ ეპიდემია გასცდა ერთი ქვეყნის საზღვრებს და კონტინენტებს მოედო, იგი უკვე პანდემიაა.

სხვადასხვა სახელით ცნობილი დაავადება ინფექციის გადამტანი ვირუსების ან უმარტივესი ორგანიზმების საშუალებით ადამიანს ცხოველებიდან, მწერებიდან ან სხვა ადამიანიდან გადაეცემა, ელვის სისწრაფით ვრცელდება და მილიონობით სიცოცხლეს იწირავს.

ქრისტეს აქეთ ისტორიაში პირველი კარგად ცნობილი ასეთი დაავადება მე-14 საუკუნის შუახანებში, სავარაუდოდ, გობის უდაბნოში გაჩნდა, მთელ მაშინდელ მსოფლიოს მოედო, 1346-1373 წლებში სამჯერ იფეთქა და მაშინდელი კაცობრიობის თითქმის მესამედი – 100 მილიონამდე ადამიანი – გაანადგურა. განსაკუთრებით დაზარალდა ევროპა, მაშინდელი მსოფლიოს ყველაზე მჭიდროდ დასახლებული რეგიონი. ეს დაავადება ისტორიაში ცნობილია „შავი ჭირის“ სახელით.

მეორე გრანდიოზული პანდემია კაცობრიობას ზუსტად ასი წლის წინათ (1918-1920 წ.წ.) „ესპანური გრიპის“ („ისპანკა“) სახელით მოევლინა, 500 მილიონამდე ადამიანი დაავადა (მაშინდელი კაცობრიობის 30 პროცენტი!) და 50 მილიონზე მეტი სიცოცხლე იმსხვერპლა.

მსოფლიო მედიცინის ისტორიაში ცნობილია სხვა არანაკლებ მრისხანე და დაუნდობელი ეპიდემიები: ყვავილი, ქოლერა (ხორვეოლა), მალარია, დიფტერია, წითელა, ებოლა, ნაირნაირი გრიპები და ბოლოს COVID-19, რომელიც, შესაძლოა, კაცობრიობისთვის ფასეულობათა ტოტალური გადაფასების საფუძვლად იქცეს.

საყოველთაო გადამდები დაავადებების არსი მართლაც დიდად მნიშვნელოვანია, მაგრამ ამჯერად, მოდი, ვისაუბროთ სხვა არანაკლებ საშიშ ინფექციაზე პირობითი სახელწოდებით „პოლიტიკური ეპიდემია“.

* * *

622 წელს მანამდე იატაკქვეშეთში მოღვაწე ახალი რელიგიური ერთობა წინასწარმეტყველ მუჰამედის წინამძღოლობით მექადან მედინაში შევიდა (ოფიციალურად დაკანონდა) და ისტორიისთვის დაუჯერებლად მოკლე დროში მთელი არაბეთის ნახევარკუნძულის თავისი დროშის ქვეშ გაერთიანება მოახერხა. პირველივე „მართლმორწმუნე ხალიფების“ მმართველობის დასაწყისიდან (632 წ.) დაახლოებით ერთი საუკუნის განმავლობაში არაბთა სახალიფო ატლანტის ოკეანიდან კაშგარის მთებამდე (ჩინეთის კედლამდე) გადაიჭიმა.

ისლამმა სამუდამოდ შეცვალა ადამიანთა შეხედულებები სახელმწიფოებრიობაზე; სხვა თვალით წარმოაჩინა ისტორიის განვითარების კანონზომიერებები; საფუძველი დაუდო ახალი, ისლამური ცივილიზაციის მშენებლობას.

* * *

XI საუკუნის მიწურულს (1090 წლიდან) ბიზანტიის კეისარ ალექსი კომნენოსისა და რომის პაპის ურბან მეორის ინიციატივით ევროპის კონტინენტზე გავრცელდა მრისხანე ანტიისლამური ეპიდემია კოდური სახელწოდებით „ჯვაროსნული ლაშქრობები“. იგი თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში მძვინვარებდა, ორ კონტინენტზე რვაჯერ გადაიგრიალა და ევროპას არანაკლებ ტრაგიკული შედეგები მოუტანა, ვიდრე ავადსახსენებელმა შავი ჭირის ეპიდემიამ 1346-1373 წლებში.

საკაცობრიო მნიშვნელობის „პოლიტიკური ეპიდემიის“ კლასიკური მაგალითებია გერმანული ნაციზმი, რასაც, საყოველთაო ნგრევაზე რომ არაფერი ვთქვათ, დაახლოებით 70 მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა; საბჭოთა სტალინიზმი და ჩინური მაოიზმი; კუბაში ფიდელ კასტრო რუსისა და ჩრდილოეთ კორეაში კიმ ჩენ ინის უსასტიკესი რეჟიმები...

„პოლიტიკური ეპიდემიის“ ნიშნები მეოცე საუკუნის 80-იანი წლების მიწურულის და 90-იანების დასაწყისის საქართველოშიც გამოჩნდა – პოლიტიკური მაღალფარდოვნება; ბრძოლა რეალიზმის წინააღმდეგ; პოლიტიკური ოპონენტების შეუწყნარებლობა; „მტრებისა“ და „მოღალატეების“ აღმოჩენა; ეთნიკური უმცირესობებისადმი ანგარიშსწორებისაკენ მოწოდებები, დილეტანტური საუბრები „ქართველი ერის გამორჩეულობაზე და სხვ.“

საბოლოოდ, ყველაფერი ეს და სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენები „ქართული ეროვნული ხელისუფლების“ ძალადობრივი დამხობისა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დღემდე საიდუმლოებით მოცული ტრაგიკული აღსასრულის საფუძვლად იქცა.

ეკონომიკურად და პოლიტიკურად გაკოტრებული საქართველოს ხელისუფლების სათავეში მივიდა მართვის საბჭოთა გამოცდილებით დამძიმებული, დამოუკიდებელი ქვეყნის მართვის გამოცდილების არმქონე პრაგმატიკოსი ედუარდ შევარდნაძე. მართალია, მას ახალი „პოლიტიკური ეპიდემიის“ გავრცელებას ვერ დავაბრალებთ, მაგრამ მისი ჩანასახის არსებობას, ალბათ, ვერ უარვყოფთ: ფართო ანტიზვიადისტური პროპაგანდა; ქვეყნის ერთმმართველობაზე მორგებული ადმინისტრაციული მოწყობის შენაჩუნება; არსებული და პოტენციური პოლიტიკური ოპონენტების იგნორირება; იმ პოლიტიკური ჯგუფის სრული განადგურება, ვისი ინიციატივითაც ხელისუფლების სათავეში დაბრუნდა.

* * *

მეოცე საუკუნის დასაწყისის საქართველოში განვითარებული მოვლენებიც გავიხსენოთ. მანამდე კი, თუნდაც ზერელედ, თვალი გადავავლოთ მსოფლიო ისტორიისთვის დღემდე ვნებათაღელვის საგნად შემორჩენილ კიდევ ერთ „პოლიტიკურ ეპიდემიას“ – საფრანგეთის „დიდი რევოლუცია“ და მისი მთავარი შემოქმედი გავიხსენოთ.

ამ კაცის სახელია მაქსიმილიან ფრანსუა მარი იზიდორ დე რობესპიერი.

არაზუსტი მონაცემებით, რობესპიერის ხანმოკლე მმართველობის პერიოდში გილიოტინაზე სიკვდილით დაისაჯა დაახლოებით 35 ათასი ადამიანი

დაიბადა 1758 წლის 6 მაისს საფრანგეთის პროვინციულ ქალაქ არასში, ღარიბი ადვოკატის ოჯახში. 6 წლისას დედა გარდაეცვალა. მამა ბედის საძიებლად უცხოეთში გაემგზავრა და შვილები (მაქსიმილიანი და მისი უმცროსი ძმა ოგიუსტენი) ნათესავებს მიაბარა. მომავალი დიდი რევოლუციონერის ბავშვობის გატაცება ბეღურებისა და მტრედების მოშინაურება იყო. იზრდებოდა უკიდურეს სიღარიბეში. წარმომავლობით, რობესპიერების საგვარეულო ე. წ. „მესამე ფენას“ ეკუთვნოდა, თუმცა მისი მამა-პაპა და პირადად მაქსიმილიანიც თავის გვარს ამაყად უმატებდნენ დიდგვაროვნობაზე მიმანიშნებელ წინსართს– „დე რობესპიერი“.

7 წლისა სასწავლებლად არასის კოლეჯში მიაბარეს, სადაც ძალიან მალე გამოავლინა არაჩვეულებრივი ნიჭი და სწავლის დაუოკებელი წყურვილი. სწრაფად დაიმსახურა ყველაზე ნიჭიერი მოსწავლისთვის განკუთვნილი სტიპენდია და სწავლის პარიზში, ჯერ იურიდიულ კოლეჯში და სორბონის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გაგრძელების საშუალება მიეცა. 1782 წელს მიიღეს არტუას პროვინციის ადვოკატთა კოლეგიის წევრად არასიდან. გამოირჩეოდა დიდებული ორატორული ნიჭით. მალევე ჩაერთო მშობლიური ქალაქის პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1789 წელს 31 წლის რობესპიერი არტუას პროვინციიდან საფრანგეთის გენერალური შტატების მუშაობაში მისაღებად არჩეულ 12 დეპუტატს და ოდნავ მოგვიანებით, ეროვნული კრების წევრთა შორის მოხვდა.

1792 წლის 10 აგვისტოს აჯანყების შემდეგ თვითგამოცხადებულმა პარიზის კომუნამ რობესპიერი თავის, ერთი თვის შემდეგ კი – კონვენტის წევრად აირჩია, სადაც მარატთან და დანტონთან ერთად მემარცხენეთა ფრთის („გორაკი“) ხელმძღვანელობა დაეკისრა. ამავე პერიოდიდან დაიწყო მისი დაუნდობელი ბრძოლა მონარქიის გუშინდელ მომხრეთა და თანამებრძოლ ჟირონდისტებთან. ამავე წლის სამ დეკემბერს გამოვიდა მეფე ლუდოვიკო XVI-სა და დედოფალ მარია-ანტუანეტას გაუსამართლებლად სიკვდილით დასჯის წინადადებით. 1793 წლის 15 იანვარს მეფე-დედოფალს სიკვდილი მიესაჯა.

რობესპიერის ინიციატივით და დაჟინებული მოთხოვნით კონვენტიდან გააძევეს და გილიოტინაზე სიკვდილით დასაჯეს ჟირონდისტები და ებერტისტები; გაუსამართლებლად სიკვდილით დასაჯეს უამრავი დიდგვაროვანი, სამეფო ხელისუფლების წარმომადგენელი, სამხედრო პირი, ბიზნესმენი, „რესპუბლიკური მორალის“ წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში ეჭვმიტანილი; იგი იყო უსასტიკესი „რევოლუციური ტერორის“ მთავარი ინიციატორი, უახლოესი მეგობრებისა და თანამებრძოლების (ებერტი, დანტონი, დემულენი...) გილიოტინაზე გამსტუმრებელი...

საგულისხმოა, რომ მაქსიმილიან რობესპიერი იყო კამილ დემულენის მეჯვარე. ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, გილიოტინაზე აეყვანა არამარტო გუშინდელი მეგობარი და თანამებრძოლი, არამედ მისი მეუღლე ლიუსილიც. ალბათ ისიც საინტერესოა, რომ ლიუსილი გილიოტინაზე თავის მოსაკვეთად საქორწინო კაბაში გამოწყობილი გამოცხადდა და ეშაფოტზე ასვლამდე ირონიული მადლობა შეუთვალა მეჯვარეს, რადგან მან, როგორც ჯალათმა, საყვარელ მეუღლესთან სწრაფად შეხვედრის საშუალება მისცა.

არაზუსტი მონაცემებით, მისი ხანმოკლე მმართველობის პერიოდში გილიოტინაზე სიკვდილით დაისაჯა დაახლოებით 35 ათასი ადამიანი. მათ შორისაა 1794 წლის 27 ივლისს აგრეთვე გაუსამართლებლად თავმოკვეთილი თვითონ მაქსიმილიან რობესპიერი და მისი უმცროსი ძმა, კონვენტის წევრი ოგიუსტენი. ალბათ ბედის ირონია იყო, რომ ოგიუსტენს თავი უკვე მიცვალებულს მოჰკვეთეს – წინა დღით სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა.

რობესპიერს ეკუთვნის სიტყვები: „ტერორი სხვა არაფერია სწრაფი, მკაცრი და გარდუვალი სამართლიანობის გარდა. ამიტომაც, იგი სიკეთისა და სათნოების გამოვლინებაა.“

რობესპიერს უყვარდა გემოვნებით ჩაცმადახურვა და ეწეოდა ასკეტურ ცხოვრებას. მისი მექრთამეობის, სიხარბის, ნეპოტიზმის ან სასიყვარულო თავგადასავლების შესახებ ცნობები არ შემონახულა.

საფრანგეთის „დიდი რევოლუციის“ ლეგენდალური ლიდერი ისტორიაში შევიდა არა როგორც იაკობინელთა სახელოვანი ბელადი, დიდებული ორატორი და მოღვაწე, არამედ როგორც დაუნდობელი მკვლელი.

ბარემ აქვე გავიხსენოთ „საფრანგეთის დიდი რევოლუციის“ კიდევ ერთი სულისჩამდგმელის, მაქსიმილიან რობესპიერის უახლოესი მეგობრისა და მის მიერვე გილიოტინაზე გასტუმრებული ჟორჟ ჟაკ დანტონის სიკვდილის წინ ნათქვამი: „რევოლუცია სატურნს ჰგავს – იგი ჭამს საკუთარ შვილებს“.

* * *

მიხეილ ნიკოლოზის ძე საკაკაშვილი (იმედია, „მიშისტები“ მათი ბელადის მაქსიმილიან რობესპიერის გვერდით მოხსენიებას მკრეხელობად არ ჩამითვლიან!), დაიბადა 1968 წლის 22 დეკემბერს თბილისში, ღარიბი საბჭოთა ინტელიგენტების, ექიმ ნიკოლოზ სააკაშვილისა და აღმოსავლეთმცოდნე-თურქოლოგის გიული ალასანიას ოჯახში. მშობლები ერთმანეთს მალე დაშორდნენ და პატარა მიშა უმამოდ, დედისა და ბებია-ბაბუის მზრუნველობით გაიზარდა.

არც სკოლამდე, არც სკოლაში სწავლის პერიოდში მეგობრები არ ჰყოლია.

1984 წელს წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა. თუმცა, თბილისის უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების ჩაბარება ვერ მოახერხა და ბიძამ, საბჭოთა უშიშროების სამსახურის (კგბ) მაღალჩინოსანმა კიევში წაიყვანა. 1985-1986 წლებში მსახურობდა საბჭოთა სასაზღვრო ჯარებში (კგბ-ს სამხედრო დანაყოფი), სადაც სერჟანტის სამხედრო წოდება დაიმსახურა. საქმე ის არის, რომ საბჭოთა ეპოქაში სამხედრო ვალდებულება მოხდილი ახალგაზრდები უმაღლეს სასწავლებელში მიღებისას მნიშვნელოვანი პრივილეგიებით სარგებლობდნენ.

1992 წელს ასევე წარჩინებით დაამთავრა კიევის უნივერსიტეტის საერთაშორისო სა-

მართლის ფაკულტეტი; შემდეგი სამი წლის განმავლობაში ერთდროულად სწავლობდა ევროპისა და აშშ-ს რამდენიმე პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელში; 1995 წელს ედუარდ შევარდნაძის მიწვევით მმართველ „საქართველოს მოქალაქეთა კავშირს“ შეუერთდა; ამავე წლის ნოემბრიდან გახდა მოქკავშირიდან საქართველოს პარლამენტის წევრი და საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარე; 1998-1999 წლებში – საპარლამენტო ფრაქცია „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარე; 2000 წლის ოქტომბერში დაინიშნა საქართველოს იუსტიციის მინისტრად; 2001 წლის 19 სექტემბერს ხელისუფლებასთან და პირადად შევარდნაძესთან კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე პრინციპული უთანხმოების გამო, გადადგა მინისტრის თანამდებობიდან; ერთი თვის შემდეგ პარლამენტის წევრობის მოსაპოვებლად კენჭი იყარა და გაიმარჯვა ვაკის საარჩევნო ოლქში; მანამდე, 1 ოქტომბერს, ოფიციალურად დააფუძნა პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც გაერთიანდა ბლოკში რესპუბლიკურ და კონსერვატიულ პარტიებთან ერთად დევიზით - „საქართველო შევარდნაძის გარეშე“;

სწორედ აქედან იწყება საქართველოში საკაკაშვილის „პოლიტიკური ეპიდემიის“ გავრცელება.

2003 წლის საპარლამენტო არჩევნების დამთავრების შემდეგ, 22 ნოემბერს, უკვე მთავარ ოპოზიციურ ძალად ჩამოყალიბებული პოლიტიკური ბლოკის (ნაცმოძრაობა, გაერთიანებული დემოკრატები, ტრადიციონალისტები) აღიარებული ლიდერი მომხრეებთან ერთად შეიჭრა რადიკალი ოპოზიციონერების მიერ ალყაშემორტყმული პარლამენტის შენობაში; ედუარდ შევარდნაძე პრეზიდენტის პოსტიდან მეორე დღესვე გადადგა...

2004 წლის 4 იანვრის ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში სააკაშვილმა ხმების 96 პროცენტზე მეტი მოიპოვა...

ამომრჩეველთა უმაგალითო მხარდაჭერით განხორციელებული ეს აშკარა სახელმწიფო გადატრიალება საძართველოს ისტორიაში „ვარდების რევოლუციის“ სახელით შევიდა. ეს არ გახლავთ შემთხვევითი – რევოლუციის სახელით ნებისმიერი დანაშაულის, ნებისმიერი სისასტიკის გამართლება შეიძლება.

შთამომავლობა ალბათ ვერასოდეს შეიტყობს, ურთულესი და უსასტიკესი საბჭოთა პოლიტიკური ხვანჯების მცოდნე შევარდნაძე 1995 წელს ახალგაზრდა უცნობი პოლიტიკოსის ზურაბ ჟვანიას მეშვეობით რატომ დაუკავშირდა ოკეანის გაღმა ამბიციურ დაუნდობელ ბიჭუნას, რატომ სთხოვა სამშობლოში დაბრუნება, მისი მფარველობა იკისრა და ძალაუფლებისაკენ მიმავალი ყველა გზა და ბილიკი გაუხსნა.

იმის მიუხედავად, რომ საქართველოში ადამიანის სიკვდილით დასჯა ჯერ კიდევ 1996 წელს გაუქმდა, სააკაშვილის მმართველობის პერიოდში გაუსამართლებლად სიკვდილით დაისაჯა 170 ადამიანი

არ ვამტკიცებ, რომ იმ პერიოდის საქართველოს ხელისუფლებას და პირადად ედუარდ შევარდნაძეს საკრიტიკო არაფერი ჰქონია. უბრალოდ, საუბარი ამჯერად სააკაშვილზე, უფრო ზუსტად, სააკაშვილის „პოლიტიკური ეპიდემიის“ თავისებურებებზეა.

სააკაშვილმა ხელისუფლების სათავეში მისვლისთანავე დაიწყო რადიკალური ღონისძიებების გატარება აბსოლუტური ძალაუფლების მოსაპოვებლად: ჩაატარა ახალი ნაწილობრივი საპარლამენტო არჩევნები; უმაღლესი თანამდებობის პირებიდან უშუალო შემსრულებლების ჩათვლით, შეცვალა აღმასრულებელი ხელისუფლების საშტატო შემადგენლობა; დაიწყო კანონების გასასტიკებისა და საკუთარ საჭიროებებზე მორგების პროცესი; გამოაცხადა „ნულოვანი ტოლერანტობა“; დაიწყო ბრძოლა საღი აზრის, ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის წინააღმდეგ კოდური სახელწოდებით „ჩარეცხილები“; საზოგადოების დასაშინებლად დაიწყო მოპროტესტეების საჩვენებელი სასტიკი დარბევები და მკვლელობები; ციხეებში გაგზავნა 35 ათასამდე ადამიანი; გაასამართლა 300 000-ზე მეტი საქართველოს მოქალაქე; საპატიმრო ადგილებში შექმნა შუა საუკუნეების ჯალათებისთვისაც კი შემაძრწუნებელი პირობები და დასმენის დახვეწილი სისტემა; დაიწყო ბიზნესმენებისთვის ქონების ჩამორთმევის შეუქცევადი პროცესი; პროკურატურაში შექმნა სპეციალური „ფონდი“, სადაც მოქალაქეებს „თავისი ინიციატივით“ შეჰქონდათ სოლიდური თანხები; ნაცმოძრაობასთან შექმნა ახალგაზრდული ორგანიზაციები; თითქმის მთლიანად მოშალა და გაანადგურა საგანმანათლებლო, მათ შორის – მეცნიერებათა აკადემიის – სისტემა; დაარბია ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თავისუფალი მედიის ცენტრალური შტაბი – ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“. საკვანძო თანამდებობებზე დანიშნა საყმაწვილო ასაკის, აბსოლუტურად გამოუცდელი და მონური ცნობიერების გოგო-ბიჭები; რვა წლის განმავლობაში შვიდჯერ შეცვალა პრემიერ-მინისტრი; გამოირჩეოდა საბიუჯეტო სახსრების უმიზნო და უაზრო ფანტვით; ჩაება წინასწარ წასაგებად განწირულ ომში რუსეთთან, რის შედეგადაც დაიკარგა საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტზე მეტი; კორუფციასთან ბრძოლის საბაბით, შექმნა „ელიტური კორუფციის“ დახვეწილი სისტემა; უკვე 2005 წლიდან დაიწყო საკუთარი თანამებრძოლებისთვის მაკიაველისტური „თავების დაყრევინების“ პროცესი; გაანადგურა ან ნაცმოძრაობას დაუქვემდებარა ქვეყანაში არსებული თითქმის ყველა მედიასაშუალება; იყო აბსოლუტურად უნიჭო ორატორი, უყურადღებო მოსაუბრე, დაუოკებელი ცრუპენტელა-ფანტაზიორი და ასევე დაუოკებელი მოგზაური; 2012 წელს, საპარლამენტო არჩევნებში მისი პარტიის დამარცხების შემდეგ, დაუყოვნებლივ დაიწყო რევანშისტული მოძრაობა, რაც აქტიურად გააგრძელა უცხოეთში გადაბარგებისა და საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმის შემდეგაც; საქართველოში გასამართლებულია სისხლის სამართლის კოდექსის სამი მუხლით...

იმის მიუხედავად, რომ საქართველოში ადამიანის სიკვდილით დასჯა ჯერ კიდევ 1996 წელს გაუქმდა, სააკაშვილის მმართველობის პერიოდში გაუსამართლებლად სიკვდილით დაისაჯა 170 ადამიანი. აქ არ ითვლება ციხეში, ან ციხიდან გამოსვლის შემდეგ სხვადასხვა დაავადებით გარდაცვლილები.

მაქსიმილიან რობესპიერისა და მიშა სააკაშვილის ქმედებათა შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „პოლიტიკური ეპიდემიის“ გავრცელების უმთავრესი მიზეზი, გნებავთ, ყველაზე საშიში ბაცილა, არის დაუნდობლობა. არა გარეგნობა, არა განათლება და ორატორული ნიჭი, არა მიმტევებლობა და მოყვასისადმი სიყვარული, არამედ სწორედ დაუნდობლობა. რა თქმა უნდა, შეგვეძლო მაგალითად გამოგვეყენებინა ოლივერ კრომველის, ნაპოლეონის, ჰიტლერის, მაო ძე დუნის, სტალინის, ფიდელ კასტროს, კიმ ირ სენის, კიმ ჩენ ინის, ჩეზარე ბორჯიას, თუნდაც ერნესტო ჩე გევარას ან სხვა ნაკლებად ცნობილი ბელადების მაგალითები, მაგრამ საბოლოოდ შედეგი იგივე იქნებოდა – სისასტიკე და დაუნდობლობა.

როგორც ჩანს, სისასტიკე და დაუნდობლობა ადამიანების გონებაზე დამთრგუნველად მოქმედებს და ბელადის სამსახურში ჩადგომისაკენ უბიძგებს. ბელადებიც სარგებლობენ ამ ადამიანური სისუსტით და საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნება-გაძლიერებისთვის მომაკვდინებელი „პოლიტიკური ეპიდემიის“ რაც შეიძლება ფართოდ გავრცელებას ელტვიან.



ასეთია სამწუხარო რეალობა...

თეიმურაზ ქორიძე,
08. 05. 2020 წელი

აფერუმ პოლიტიკურ სიბეცეს!

რეჟისორი გოგა ხაინდრავა ავრცელებს ღია წერილს საახელწოდებით – „ძარწაღებულები“. ხაინდრავა წერილში 13 კონგრესმენის მომზადებულ ანგარიშს ეხმაურება

„**დღევანდელ** მსოფლიოში აღარაფერი რომ არ უნდა გაგიკვირდეს, ცხადია. თუმცა, როდესაც ფილმი „ქარწაღებულნი“, რომელიც მთელ მსოფლიოში, ყველა კონტინენტზე, კინოშედევრად არის აღიარებული და რომელშიც მონაწილეობისთვის, პირველად ამერიკის ისტორიაში, შავკანიანი მსახიობი „ოსკარით“ დაჯილდოვდა, რასისტულად ცხადდება... აღარც ის გვიკვირს, რომ „ნაცი“ გრიგოლ ვაშაძე, პუტინის კოლეგა საბჭოთა ჩეკისტი და საპრეზიდენტო არჩევნებში მისი მხარდამჭერი „ევროპული საქართველო“, რომლის ლიდერებმა ხელისუფლებაში ყოფნის დროს, სისხლში ჩაახშეს საკუთარი მოქალაქეების დემოკრატიული უფლებები, რუსეთს „გაუპრავეს“ საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო აგრესია და ტერიტორიის 20%-ის მიტაცება, ხოლო სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ უამრავ სისტემურ დანაშაულში მხილებულნი, გამძვინვარებული ლობიზმის სამყაროში, „ქარწაღებულების“ რასისტობისა არ იყოს, პრო-დასავლურ ძალებად და ქვეყნის სტაბილურობის იმედად განიხილებიან, ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ კი – პუტინის ქომაგებად და დესტაბილიზაციის წყაროდ საქართველოში!

აფერუმ ამგვარ პოლიტიკურ გამჭრიახობას! უფრო სწორედ სიბეცეს! და აღარ აქვს არანაირი მნიშვნელობა იმას, თუ რითია ის განპირობებული. როდესაც მოყვარეს მტრად რაცხ, ცილს სწამებ მეგობარი ქვეყნის წამყვან, შენი საერთაშორისო პოლიტიკის და შენი ქვეყნის ერთგულ მხარდამჭერ პოლიტიკურ ძალას და მის ლიდერს, რითაც ამავდროულად შეურაცხყოფას აყენებ საქართველოს საზოგადოების და ამომრჩევლების უდიდეს ნაწილს, აბრალებ რა კოლაბორაციას მტერთან და ქვეყნის დესტაბილიზაციას. ამ დროს, დარწმუნებული ვარ, სიღრმისეულად არც კი გაქვს გააზრებული, რისთვის კეთდება ეს, რა შედეგს მოუტანს ეს შენს მეგობარ და სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყანას!

მძიმე სურათია, მძიმე! ამერიკა ჩვენთვის, პატარა და სუსტი ქვეყნებისთვის, იმედია. სიმბოლო, ამ საშიშ მსოფლიოში, საერთაშორისო სამართლის, დემოკრატიის არსებობის და იმედი, რომ იმპერიები ვერ ჩაგყლაპავენ, ვერ დაგანაწევრებენ და ვერ წაგშლიან რუკიდან, როგორც ახლა ამას ცდილობს რუსეთი საქართველოში. ნებისმიერი უკუღმართი სიტყვა გაცხადებული ამერიკის პოლიტიკური ისტებლიშმენტის წარმომადგენლების მიერ, ჩვენი ქვეყნის შესახებ, ფიქსირდება ოკუპანტის სპეცსამსახურებში და შემდეგ გამოიყენება იმპერიული პროპაგანდის მიზნებისთვის როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. ეს ჩვენ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის ძალიან სახიფათოა! ვფიქრობ, არც ამერიკისთვის არის სასარგებლო, რადგან დღეს, შეუზღუდავი ინფორმაციის ეპოქაში, მთელ მსოფლიოში ისმის მათი სიტყვა, ყველას აქვს შესაძლებლობა, განსაჯოს რამდენად სამართლიანია ის სტრატეგიული პარტნიორი და მეგობარი ქვეყნის ხელისუფლების მიმართ.

რატომ აწერენ ხელს იმას, რაც დანამდვილებით არ იციან?! და თუ იციან სიმართლე, რატომ სწამებენ ცილს უდანაშაულო ადამიანებს და მეგობარი ქვეყნის ხელისუფლებას?! ეს არის კითხვა, რომელიც პასუხს მოითხოვს. დარწმუნებული ვარ, ამ დოკუმენტის ხელმომწერებს საკუთარი ანგარიში რომ წაეკითხათ ყურადღებით, როგორც ჩვენ გავაკეთეთ ეს, მარტივად მიხვდებოდნენ, რომ საქართველოს ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება“ და მისი ლიდერი ბიძინა ივანიშვილი, პუტინის ინტერესების გატარებას და დესტაბილიზაციის გამოწვევას რომ ცდილობდეს საკუთარ ქვეყანაში, აგერ უკვე 8 წელიწადია, საქართველო, სახელმწიფოს პოლიტიკის დონეზე, ვერანაირად ვერ იქნებოდა ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული და წარმატებული პარტნიორი. ვერც ორმხრივ და ვერც მრავალმხრივ საერთაშორისო ურთიერთობებში, როგორც ეს თუნდაც ამ ანგარიშიდან ჩანს. აღარაფერს ვამბობ სამხედრო თანამშრომლობაზე და სამშვიდობო მისიებში ერთობლივ მონაწილეობაზე. ეს ხომ მარტივი ჭეშმარიტებაა! დავიჯეროთ, რომ ამერიკის საელჩო საქართველოში, თეთრი სახლი, სახელმწიფო დეპარტამენტი, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო თუ სხვა სახელმწიფო ინსტიტუტები ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრმავდნენ?! თუ ესეთი დრამატული მდგომარეობაა, რატომ უწევენ უპრეცედენტო პოლიტიკურ, ფინანსურ და სამხედრო მხარდაჭერას და დახმარებას პუტინის თანამოაზრე და მდგომარეობის არევის მოსურნე, კოლაბორანტ ხელისუფლებას?!

„ქართულმა ოცნებამ“ 8 წლის მანძილზე ექვს არჩევნებში გაიმარჯვა. მისი ხელისუფლების პირობებში საქართველო ყველაზე მტრაედ და პრომამერიკულ ქვეყნად ჩამოყალიბდა რეგიონში. ამ დროის მანძილზე ჩვენი ქვეყნის ევროატლანტიკური ორიენტაცია ეჭვქვეშ არ დამდგარა არც ერთი წამი არავისთვის და არსად! თუ სახელმწიფოში სახელისუფლო პარტია, მისი ლიდერი და შესაბამისად მთავრობა, რუსულ ინტერესებს ატარებდა და დესტაბილიზაციის საფრთხეებს ქმნიდა ქვეყანაში, ესე როგორ მოხდებოდა? ან როგორ წარმოგიდგენიათ, რომ რუსეთის გაუთავებელი სამხედრო თუ იდეოლოგიური აგრესიის, უკანონო ბორდერიზაციის, ადამიანების გატაცების, მკვლელობის, ეთნიკური წმენდის და ფაქტობრივი გენოციდის ფონზე ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ქართველი ხალხი რვა წელიწადია განუხრელად, დღემდე, მხარს უჭერს კოლაბორაციონისტ, პუტინის მხარდამჭერ და ქვეყანაში დესტაბილიზაციის შემქმნელ ხელისუფლებას?! რატომ?! ეს რა წარმოდგენა გქონიათ ქართველ ხალხზე?იქნებ ახსნან ეს იმ ლობისტურმა ორგანიზაციებმა, ვისი მიზანმიმართული მოქმედების შედეგად, ჩვენი ღრმა რწმენით, ჩნდება სხვადასხვა ანგარიშებში მსგავსი ჩანაწერები.

საქართველომ ბევრი განსაცდელი გადაიტანა და ბევრი ისწავლა დამოუკიდებლობის აღდგენიდან 30 წლის მანძილზე. დღეისთვის პოსტსაბჭოთა სივრცეში ჩვენ ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ, დემოკრატიულ და თავისუფალ სახელმწიფოდ ჩამოვყალიბდით. პანდემიასთან სამაგალითო ბრძოლაც შევძელით და მსოფლიოში პოლიტიკური ლობიზმის ავკარგსაც გავუგეთ გემო. რამდენიც არ უნდა გვიკიჟინონ, რომ შავი თეთრია, ჩვენთვის, საქართველოს მოქალაქეებისთვის, პოლიტიკაში შავი შავად დარჩება და თეთრი – თეთრად.

ჩვენ, ქართველები, რიცხობრივად მცირე, სამაგიეროდ, მადლიერი და ერთგული მეგობრები, გულშემატკივრები და მხარდამჭერები ვართ ამერიკელი ხალხის და მისი დიადი სახელმწიფოსი. იქნებ თქვენც, ჩვენზე მზრუნველნო საქართველოს მეგობრებო, ეცადოთ, გულწრფელები, ობიექტურები და სამართლიანები იყოთ ჩვენ მიმართ. ნუ დაგვაზიანებთ მაინც“, – აღნიშნულია გოგა ხაინდრავას წერილში.

ამერიკული ბუნტი და მისი შემაძრწუნებელი შედეგები

როდესაც ქართულ მედიას, განსაკუთრებით ელექტრონულს, უმზერ, ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს მშვიდ, დაპურებულ, უპრობლემო ქვეყანაში ცხოვრობ, სადაც კეთილდღეობის მზეც ანათებს და ხალხიც კმაყოფილია...

არის პატარ-პატარა ხარვეზები, მაგრამ, რაც მთავარია მშვიდობა გვაქვს — პოლიტიკოსთა ძალისხმევით მოპოვებული.

ეს დახასიათება ბევრს შეიძლება არაობიექტურად მოეჩვენოს, მაგრამ თუ შებრუნებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე, სად ჩანს, რომელ სოციალურ მოთხოვნაში, მიტინგსა ან დემონსტრაციაში, ისეთში, რასაც სისტემატურად აქვს ადგილი იმ დასავლეთში, საითკენაც მიგვიხარია?

ქართულ „მშვიდობის ოაზისს“, მხოლოდ ქვეყნის პოლიტიკური პრობლემები თუ გაახელინებს თვალს, თორემ სხვა მხრივ მას არაფერი აწუხებს. არც უმუშევრობა, არც ყველა დასახელების პროდუქტზე ფასების ზრდა, არც მედიკამენტების გაძვირება და არც ამ ფონზე ხელისუფალთა თავდაჯერებული ლაპარაკი, რომ კორონავირუსმა ჩვენ კი არა, დიდი ქვეყნებიც დააჩოქა და აქედან გამომდინარე, საქართველო უკეთ გამოიყურება, ვიდრე ისინიო.

„ქართულ ოაზისში“ კორონავირუსამდე არსებული სულისკვეთებაა. არც მედიას, არც პოლიტიკას, არც ექსპერტებს მინიმალური სურვილიც არ გასჩენია, საზოგადოებას აუხსნას რაც „დემოკრატიულ“, ცივილიზებულ დასავლეთში ხდება, განსაკუთრებით დასავლეთის ფლაგმან აშშ-ში. ჩანს არც განათლება, არც ფაქტების ობიექტური აღქმა ხელს არ გვიწყობს, შევაფასოთ დასავლეთში მიმდინარე პროცესები, რომლებიც უდავოდ გამოიწვევს მიწისძვრის მსგავს რყევებს დასავლურ პოლიტიკურ სისტემაში და აქედან გამომდინარე მსოფლიოში.

შეგვეხება თუ არა ჩვენ ეს ძვრები? უდავოდ შეგვეხება — ჩვენც ხომ მსოფლიოს ნაწილი ვართ!

ჩვენი „განსწავლული“, აშშ-ში გამოზრდილი ექსპერტობა გვამშვიდებს — ამერიკა „გამოძვრება“ ამ ვითარებიდანო. როგორი შესახედია, აქამდე მსოფლიოს ჰეგემონის, ფაქტობრივად მოკავშირეების წინააღმდეგაც მუშტმოღერებული ე.წ. დემოკრატიული ამერიკის პრობლემებიდან „გამოძრომა“? ღობეში გაჩხერილ დიდ გოგრას არ დაემსგავსოს ერთ დროს საშური, საოცნებო ქვეყანა!

უყურებ „სი-ენ-ენ“-ს, „ბი-ბი-სი“-ს, „ევრონიუს“-ს, ამერიკულ თუ ევროპულ ტელეკომპანიებს, პრესას და ფიქრობ — ყველაფერი ეს მაძღარ, დემოკრატიულ, ძლიერ, მისაბაძ დასავლეთში ხდება? მათი მსგავსის გახდომის სურვილმა არ გვიბიძგა კონსტიტუციაში ქვეყნის ურყევი დასავლური ორიენტაციის თაობაზე ჩაგვეწერა?!

თუ ჩვენ დასავლეთისკენ მივდივართ, ის, დასავლეთი საითკენ მიდის? ის, რომ ისეთი აღარ იქნება, როგორიც კორონავირუსამდე და ფლოიდის მკვლელობამდე, ფაქტია. ლამის სოციალისტურში გადასული საპროტესტო მოძრაობა არა მარტო აშშ-ია, არამედ დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, ბელგიაში, მოკლედ ყველა იმ მაძღარ ევროპაში, საითკენაც ერთსულოვნად გავრბივართ.

ვერაფრით წარმომედგინა, რომ 78 წლის პრეზიდენტობის ყოფილ კანდიდატს, დემოკრატ ბერნი სანდერსს მხარს სოციალისტურად, მარქსისტურად მოაზროვნე ახალგაზრდები უჭერდნენ. ორჯერვე, პოლიტიკურმა სისტემამ ათქმევინა უარი სანდერსს პრეზიდენტობისთვის ბრძოლის გაგრძელებაზე, მაგრამ ის, ვინც მას მხარს უჭერდა, ხომ არსად წასულა?!

ისინი იქ დარჩნენ და ახალი ამერიკისთვის იბრძვიან — ნამდვილი დემოკრატიისთვის, სოციალური თანაბრობისთვის, ფერადკანიან და თეთრკანიანთა საუკუნო განსხვავებულობის აღმოფხვრისთვის. დიახ! ამ ბრძოლას თან ახლავს სიკვდილი, ცემა-ტყეპა, კერძო საკუთრების ხელყოფა, ფეშენებელური მაღაზიების ვიტრინების მსხვრევა და ძარცვა, პოლიციის შენობების დაწვა-დარბევა...

ხუთჯერ ნასამართლევი ფლოიდი, დახრჩობისთანავე ამერიკის, მსოფლიოს გმირად იქცა, რომლის წინაშე იჩოქებენ გუშინ გაბღენძილი ისტებლიშმენტი, აშშ-ის კონგრესმენები, დემოკრატების უმრავლესობის ლიდერის ნენსი პელოსის მოწოდებით. მინიაპოლისის თეთრკანიანი მერი, ფლოიდის ცხედრთან დაჩოქილი, ისე ქვითინებს, თითქოს შვილი დაეკარგოს; ამაყი თეთრი პოლიციელები საჯაროდ ფეხს ბანენ შავკანიან პასტორს; ავად იხსენებენ სამოქალაქო ომის გმირ გენერლებს და მათ ძეგლებს მიწაზე ანარცხებენ. გაზეთ „ნიუ იორკ თაიმსის“ ერთ-ერთ რედაქტორს თანამდებობიდან ათავისუფლებენ იმიტომ, რომ მან გაზეთში გაუშვა ამერიკელი სენატორის მოწოდება წესრიგის დამყარებისკენ. იკრძალება ამერიკელი მწერლის მიტჩელის რომანის მიხედვით გადაღებული ფილმი „ქარწაღებულნი“; თავი მოაცალეს კოლუმბის ძეგლს. ჯერი ვაშინგტონზე მიდგა, მასაც ხომ ჰყავდა ზანგი მონები?!

აშშ-ის ამბოხი მსოფლიოს მოედო. ინგლისში მეამბოხეებმა ქ.ბრისტოლში XVII საუკუნეში შავკანიანთა ვაჭრობით ცნობილი პიროვნების ძეგლი კვარცხლბეკიდან ჩამოაგდეს და მდინარეში გადაუძახეს. შეუტიეს ჩერჩილის ძეგლსაც და ყველა იმას, ვინც კოლონიალიზმის დროს გამოიჩინა თავი. პრაღაში შეურაცხყვეს ჩერჩილის ძეგლი, ლონდონში — დედოფალ ვიქტორიასი...

დააკვირდით, უტევენ კოლონიალიზმს — დიდი ბრიტანეთის ისტორიის ფუნდამენტს და იმ მრავალსაუკუნოვან წარმატებას, რამაც ეს ქვეყანა მართლაც დიდად (დიდ ბრიტანეთად) აქცია.

ჩვენ თვალწინ იწერება დასავლეთის ახალი ისტორია, რასაც „ქართული ოაზისი“ ვერ ხედავს. მას ისე უხატავენ დასავლეთს, როგორც სამი თვის წინ.

არვინ კითხულობს რა შეიძლება მოჰყვეს ამას. დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, მოსახლეობის უმცირესობამ — 13% ზანგობამ, დაჩაგრა უმრავლესობა. მაგრამ 13% ვერაფერს იზამდა, რომ არა ჯერაც დაუდგენელი, მაგრამ მნიშვნელოვანი პროცენტი თეთრკანიანი ახალგაზრდებისა, რომელთაც სიგარამომარჯვებული მდიდარი ძია სემი ისე აღიზიანებს, როგორც თავის დროზე კომუნისტებს.

დასავლეთი ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდა — თეთრკანიანთა მიმართ რასიზმში. სხვას ვერაფერს დარქმევ ახალი გმირის, უკვე ქრისტედ შერაცხილის, პომპეზური დაკრძალვის ცერემონიალს, ისეთს, ადამიანის უფლებების დამცველ მარტინ ლუთერ კინგს რომ არ ღირსებია. მაშინ ვერ მოიფიქრეს შავკანიანთა ლიდერის, მუხანათურად მოკლულის, მოოქროვილ კუბოში ჩასვენება. არათუ მარტინ ლუთერ კინგს ან ნელსონ მანდელას არ ღირსებია ესოდენ ძვირად ღირებული დაკრძალვის ცერემონია, არამედ ამერიკის პრეზიდენტებსაც.

რა გაეწყობა, ასეთია პოლიტიკურ ცხოვრებაში შეტანილი კორექტივები, რომლებიც სულ სხვა მსოფლიო წესრიგს გვპირდება — მრავალპოლუსიან, ჰეგემონის გარეშე დარჩენილ მსოფლიოს. ვეჭვობ, ახალი ამერიკიდან წამოსული დირექტივები ისეთი მუქარით იქნება გაჯერებული, როგორც გუშინ და რომც იყოს, მიაქცევენ მას ყურადღებას თუნდაც მოკავშირეები?

ფლოიდის დახრჩობა და, აქედან გამომდინარე, მოვლენები აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებით დაორსულებულ ქვეყანაში ხდება, სადაც ერთმანეთს უპირისპირდებიან დემოკრატები და რესპუბლიკელები — ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ბაიდენის და ამჟამინდელი პრეზიდენტის ტრამპის სახით. გამოკითხვის მიხედვით, ბაიდენი 10 პუნქტით უსწრებს ტრამპს, რაც არ არის გასაკვირი — დემოკრატ ამომრჩეველთა შორის ხომ მუდამ გამოირჩეოდნენ შავკანიანები?!

ბაიდენმა, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო ფლოიდის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებსა და მის დაკრძალვაში, უკვე განაცხადა, რომ ვიცე-პრეზიდენტად ქალს განიხილავს, შესაძლოა შავკანიანს, შესაძლოა, ყოფილი პრეზიდენტის ბარაკ ობამას მეუღლეს — მოჭარბებულად აქტიურ ქალს. 78 წლის ბაიდენი, მეტსახელად „მძინარე ჯო“ (ეს სახელი მას ტრამპმა შეარქვა), გაპრეზიდენტების შემთხვევაში ვერ შეძლებს ისეთი დატვირთვით მუშაობას, როგორსაც პრეზიდენტობა მოითხოვს და მის საქმეს ვიცე-პრეზიდენტი იტვირთავს. ფაქტობრივად, ბაიდენის პრეზიდენტობა ბარაკ ობამას მეუღლის პრეზიდენტობა იქნება.

რას გააკეთებს ტრამპი? უპირველესად შეეცდება ეკონომიკის ამოქაჩვას, უმუშევრობის შემცირებას, მაგრამ ეყოფა მას დრო ნოემბრის არჩევნებამდე?

ერთადერთი, რაც მას მოუტანს წარმატებას — ქვეყანაში მკაცრი წესრიგის დამყარებაა, მაგრამ გაღვივებული საყოველთაო პროტესტის ფონზე მკაცრი ღონისძიებების გატარება სამოქალაქო ომს ხომ არ გამოიწვევს?!

რა ძალებით, ვისი მეშვეობით უნდა გაატაროს ტრამპმა მკაცრი ზომები, როდესაც პოლიცია მას არ ექვემდებარება? პოლიცია შტატების მმართველობაშია, ანუ გუბერნატორების. გარდა ამისა, კონგრესში დაწყებული განხილვა, პოლიციის გარდაქმნის თაობაზე ითვალისწინებს, როგორც დაფინანსების შეკვეცას, ისე უფლებამოსილების. პრეზიდენტს შეუძლია ჯარის გამოყენება, მაგრამ სამოქალაქო ომის შემდეგ, ჯარს რომ საშინაო საქმეებში არასდროს მიუღია მონაწილეობა?!

ასე რომ, ტრამპი და რესპუბლიკელები დიდი გამოწვევის წინაშე დგანან, ისე, როგორც აქამდე მსოფლიო ჰეგემონად წოდებული ამერიკა თავისი გაურკვეველი მომავლით.



ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

გაზეთი და ბურბონის ბოთლი... ძეგლში

აშშ-ში, კენტუკიში სამოქალაქო ომის დროს ამერიკის კონფედერაციული შტატების პრეზიდენტის ჯეფერსონ დევისის ძეგლის დემონტაჟის დროს მუშებმა მონუმენტში 1936 წელს ჩამოსხმული ბურბონის **Glenmore Kentucky** ბოთლი იპოვეს.

თვითმხილველები ამტკიცებენ, რომ ბოთლი ცარიელი იყო. ბურბონის გარდა ქანდაკებაში 1936 წლის 20 ოქტომბრით დათარიღებული გაზეთის **State Journal** ნომერიც იყო შენახული. სწორედ ამ დღეს დადგეს ქანდაკება. დევისის ქანდაკების დემონტაჟის გადაწყვეტილება აშშ-ში ჯორჯ ფლოიდის მკვლელობით გამოწვეული საპროტესტო ტალღის ფონზე მიიღეს.

ინდრო მონტანელის ძეგლი დააზიანეს

იტალიაში, მილანში ცნობილი ჟურნალისტის ინდრო მონტანელის ძეგლი დააზიანეს. უცნობმა პირებმა ძეგლს წითელი საღებავით დააწერეს „რასისტი, მოძალადე“. ეს პირველი შემთხვევაა იტალიაში, როცა მოძრაობა „ფერადკანიანთა სიცოცხლე მნიშვნელოვანია“ ფარგლებში, ძეგლი დააზიანეს. ინდრო მონტანელი ესპანეთის სამოქალაქო ომისა და მეორე მსოფლიო ომის დროს ფრონტის ხაზზე რეპორტიორად მუშაობდა და ხშირად იცავდა კოლონიალიზმს.

როგორც შემდეგ თავად იხსენებდა, სამხედრო სამსახურში ყოფნისას 12 წლის ერიტრეელი გოგონა მოიყვანა ცოლად. ინდრო მონტანელი 2001 წელს 92 წლისა გარდაიცვალა. ბოლო რამდენიმე დღეა, მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში აზიანებენ ან აგდებენ იმ ადამიანთა ძეგლებს, რომელთაც ანტირასისტული დემონსტრაციების მონაწილეები რასისტებად მიიჩნევენ.

ნობელიანტის დიეტის საიდუმლო



რამდენიმე წლის წინათ იაპონელ იოსინორი ოსუმის მედიცინის სფეროში ნობელის პრემია მიანიჭეს. მსოფლიოში ეს ყველაზე ავტორიტეტული ჯილდო ამომავალი მზის ქვეყნის სწავლულს აუტოფაგიის მექანიზმის — უჯრედის შიგნით ნაგვის განადგურების პროცესის აღმოჩენაში გადასცეს.

მედიკოსები ერთხმად აღნიშნავენ, რომ იოსინორი ოსუმის აღმოჩენა გზას უხსნის მრავალი სნეულების, მათ შორის ისეთი ურთულესების, როგორებიცაა კიბო და ალცჰაიმერის დაავადების განკურნვას. მეტიც: ბოლო დროს ხშირად ლაპარაკობენ იმაზეც, რომ იაპონელი მეცნიერის მიგნებათა სწორი რეალიზაციით **სავსებით რეალურია დაბერების პროცესის შენელება და სიცოცხლის გახანგრძლივება**.

ხაზს უსვამენ იმასაც, რომ მისმა გამოკვლევებმა დიდად შეცვალა კვების შესახებ ჩვენი წარმოდგენები, რომელთა წყალობით ამჟამად მხარდაჭერილია ზოგიერთი რეკომენდაცია, რომელიც ეწინააღმდეგება ოფიციალურ თვალსაზრისს. ეს ეხება **სამკურნალო შიმშილობას, განტვირთვის დღეებსა** და **საკვების გვიან მიღებაზე უარის თქმას**. ამასთან, დოქტორ ოსუმის კვლევათა გათვალისწინებით, ხშირად და მცირე ულუფებით კვების რჩევები უპერსპექტივოდ ჩანს.

საფუარზე ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად, იაპონელმა სწავლულმა დაამტკიცა, რომ **დაბალკალორიული დიეტა აუტოფაგიის პროცესს ასტიმულირებს, რა დროსაც უჯრედი თავად იწყებს საკუთარი თავის გადახარშვას: პირველ რიგში კი დაჟანგული ცილების გროვები, დეფექტიანი მიტოქონდრიები და სხვა დაზიანებული სტრუქტურები ნადგურდება, რის წყალობით, უჯრედი ახალგაზრდავდება** იმის გამო, რომ ხორცი და ხორცეული წარმოშობის სხვა სურსათი ამინომჟავებს დიდი ოდენობით შეიცავენ, ამ შენაერთთთა მცენარეულებით ჩანაცვლება აუტოფაგიის პროცესს ააქტიურებს. ეს კი დაბერებას ამუხრუჭებს, და კიბოს, გულისა და სისხლძარღვების დაავადებათა, ალცჰაიმერის სნეულების გაჩენის რისკს ამცირებს.

საგულისხმოა ისიც, რომ აუტოფაგიის პროცესს რთავს არამარტო ერთი ან თუნდაც რამდენიმე დღეღამიანი შიმშილობა, არამედ საკვების მიღებებს შორის 12-საათიანი და უფრო ხანგრძლივი შესვენებაც. მაგალითად, ივახშმებთ დილის 9 საათზე, შემდეგ ისადილებთ, მერე 17-18 საათზე ივახმებთ და დილამდე აღარაფერს ჭამთ (წყლის სმა, რა თქმა უნდა, შეიძლება). კვების ასეთი რეჟიმის პირობებში სისხლში ქოლესტერინისა და გლუკოზის შემცველობა, აგრეთვე ცხიმების ოდენობა იკლებს, თანაც კუნთოვანი მასა არ იკარგება.

ჟესტების ენა

თანამედროვე მსოფლიოში, რომელშიც ბოლო დროს კორონავირუსის პანდემიამ ძალიან ბევრი მეტად საგრძნობი ცვლილება გამოიწვია როგორც ცალკეულ ადამიანებში, ისე მთელ სოციალურ ჯგუფებსა და ერთიანად სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში, უამრავი რამ კვლავინდებურად მაინც უცვლელი დარჩა. ამ მხრივ თითქმის არ შეცვლილა კომუნიკაციის საყოველთაო უძველესი — ჟესტების ენა, თუმცა კი, გარკვეული, — ხშირად მეტად საგრძნობი! — ადგილობრივი განსხვავებები მასში მუდამ არსებობდა.

ჟესტების ენას გულმოდგინედ სწავლობენ სხვადასხვა პროფილის სპეციალისტები, მათ შორის ანთროპოლოგები, ეთნოგრაფები, პედაგოგები, ენათმეცნიერები, ფსიქოლოგები. საერთაშორისო კავშირების უაღრესად გაზრდილი ინტენსივობის პირობებში, სხვადასხვა ერის, ხშირად მთელი რეგიონის კულტურაში მიღებული ჟესტების ენის ცოდნა ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტს, ერთმანეთის გასაჭირის უფრო ადვილად გაგების შესაძლებლობას გვაძლევს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარკვეულ ფორსმაჟორულ ვითარებაში, როცა ერთმანეთის ენის უცოდინრობა ურთიერთობისთვის გადაულახავ ზღუდედ იქცევა ხოლმე.

მხედველობიდან არც ის გარემოება უნდა გამოგვრჩეს, რომ ამა თუ იმ არეალში გავრცელებული ჟესტიკულაციის ცოდნას მნიშვნელობა აქვს უცხო ენების შესწავლისას, თეატრალური თუ ქორეოგრაფიული ხელოვნების დაუფლებისას, სხვა კულტურის შემეცნებისას. ამას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, რომელთაგან ზოგიერთში ყოველდღიურ ყოფაში გამოყენებადი აუარება ჟესტის სიტყვარებიც კია გამოცემული.

ჟესტების ენის შესახებ საუბრისას ერთ-ერთი პირველი კითხვა, რაც კაცს შეიძლება დაებადოს, ისაა, თუ რამდენად შეგვიძლია ერთმანეთთან ჟესტიკულაციის გარეშე ლაპარაკი. პრაქტიკა უტყუარად მოწმობს, რომ ასეთი რამ, პრინციპში, ნაკლებადაა შესაძლებელი, თუ, რა თქმა უნდა, ამას საგანგებოდ არ მოვიმოქმედებთ. ჟესტიკულაციის გარეშე ერთმანეთთან ურთიერთობა ნამდვილად გაგვიჭირდება, რადგან სიტყვებისა და გამოთქმების ინტონაცია მეტყველების არსს ავსებენ და ამრავალფეროვნებენ, ასევე დამატებით ინფორმაციასაც შეიცავენ (გაიხსენეთ თვალის ჩაკვრა, ჩაცინება, ცერა თითის

აწევა და სხვა). მსოფლიოს ბევრ, განსაკუთრებით კი სამხრეთის ქვეყანაში, ვთქვათ, იტალიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, ერთიანად ლათინურ ამერიკაში, ჟესტები ურთიერთობის აუცილებელი ელემენტია.

ჟესტს სრულად შეუძლია არამარტო სიტყვა, არამედ ცალკეული ასო (ვთქვათ, ყრუ-მუნჯთა ანბანში), ანდა მთელი ცნებაც კი აღნიშნოს, იყოს გარკვეული სიმბოლო — გავიხსენოთ თუნდაც სპორტული მსაჯების, ანდა ტრანსპორტის რეგულირების დროს მიღებული მოძრაობები.

მეცნიერები დღემდე ვერ შეთანხმდნენ იმაზე, თუ რა გაჩნდა პირველი: სიტყვიერი ურთიერთობა თუ ჟესტიკულაცია — გამორიცხული არ არის, რომ ორივე ენა პარალელურად წარმოიშვა და განვითარდა.

ჟესტებისა და სხეულის პოზების ენა ცხოველთა სამყაროშიცაა გავრცელებული, განსაკუთრებით შეწყვილების სეზონებში. რთული საქორწინო რიტუალები აქვთ არა მხოლოდ ძუძუმწოვრებსა და ფრინველებს, არამედ თევზებსაც და ქვეწარმავლებსაც.

გასოვდეთ: თქვენი შვილი სხვა ადამიანია!

თითქოს ანბანური ჭეშმარიტებაა, მაგრამ ბევრ მშობელს ის, რატომღაც, ავიწყდება: თქვენი შვილი თქვენ არა ხართ! სულაც არ არის აუცილებელი, რომ შვილი ორი წვეთი წყალივით ჰგავდეს ან დედას, ან მამას, ან ორივეს ერთად აღებულს — მემკვიდრეობითი ნიშნები ხშირად სრულიად წარმოუდგენელი კომბინაციებით ვლინდება!

ამიტომაცაა სწორედ, რომ ზოგი ბავშვის მოქცევის „წინასწარმეტყველება“ დედ-მამას თავისუფლად შეუძლია, ზოგისას კი მშობლები და ბებია-ბაბუები ვერაფრით ახერხებენ. განსაკუთრებით ეს მრავალშვილიან ოჯახებშია შესამჩნევი. სულაც არ არის აუცილებელი, რომ თქვენს შვილს (ანდა, ვთქვათ, ერთ-ერთ მათგანს) ის სურვილები და მისწრაფებები ჰქონდეს, რაც მის ასაკში თქვენ ან მეუღლეს, ანდა მის უფროს და-ძმას გქონდათ. ამიტომ, ბავშვის შინაგანი, თუმცა კი გაუთვითცნობიერებელი სურვილებისა და მისწრაფებების ლაბირინთებში გარკვევაში ფსიქოთერაპია დაგეხმარებათ.

ბავშვები გამუდმებით იცვლებიან, შესაბამისად, ზრდასთან ერთად ეცვლებათ შესაძლებლობებიც და ინტერესებიც, ამდენად იცვლება მათთვის საჭირო დახმარების სახეობებიც. ამიტომაც მშობლისთვის მნიშვნელოვანია იხელმძღვანელოს არა ზოგადი იდეებით იმის თაობაზე თუ რა არის კარგი და რა — ცუდი, არამედ იმით, თუ რა სჭირდება ბავშვს კონკრეტულ შემთხვევაში. ამიტომაც, მუდამ გულისყურით დააკვირდით მას და აუცილებლად გაიგეთ, თუ რა ესაჭიროება ამა თუ იმ დროს. ყურადღება, ცხადია, ყველა პატარას სჭირდება, მაგრამ სხვადასხვა ბავშვს და, ხშირად, ერთსა და იმავე ბავშვს, ის სხვადასხვა მოცულობით სჭირდება ხოლმე.

რაც შეეხება ფსიქოლოგთა კონკრეტულ რჩევებს, ვფიქრობთ, ღირს მშობლებმა მათი მიყოლა არ დაიზარონ — ეს, პირველ ყოვლისა, მათი პატარებისთვისაა აუცილებელი:

— დღის განმავლობაში 15-20 წუთი მაინც ბავშვთან ერთად აკეთეთ ის, რაც მასაც აინტერესებს და თქვენც. მოერიდეთ იმის კეთებას, რის გაკეთება მაინცდამაინც არ გინდათ — ეს თქვენც გამოგფიტავთ და არც ბავშვს მოუტანს სარგებელს;

— ყოველდღე 5-10 წუთით მაინც უბრალოდ იყავით ბავშვთან და ნურაფრის გაკეთებას ეცდებით საკუთარი ინიციატივით. დააკვირდით, თუ რა უნდა მას და რა გინდათ თქვენ;

— დაიცავით ოქროს შუალედი. ერთი მხრივ, თქვენი შვილი არც მიტოვებული უნდა იყოს, არც თანატოლებს მოწყვეტილი, მეორე მხრივ კი მის გადატვირთვას უნდა მოერიდოთ;

— გაითვალისწინეთ ბავშვის თავისებურებები და ასაკობრივი შესაძლებლობები, ამიტომაც ზედმეტად რთული ამოცანების გადაწყვეტას ნუ შესთავაზებთ.

ბავშვთან ურთიერთობისას იხელმძღვანელეთ იმწუთიერი მოთხოვნებით და არა იმაზე ფიქრით, თუ რა უფრო მეტად გამოადგება თქვენს პირმშოს შორეულ მომავალში.

ღამეული კოშმარების „სკოლა“

ძილის სპეციალისტებმა — სომნოლოგებმა — დაადგინეს, რომ, თურმე, ცუდი სიზმრები ადამიანის ფსიქიკას რეალურ ხიფათთან შესახვედრად „ავარჯიშებენ“.

შვეიცარიული ჟენევის უნივერსიტეტის ნეიროფიზიოლოგებმა გადაწყვიტეს ეგრეთ წოდებული საფრთხის მოდელირების თეორიის შემოწმება, რომლის თანახმად, **სიზმრები მეტად საპასუხისმგებლო ნეიროფიზიოლოგიურ ფუნქციას ასრულებენ**. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისაა გარკვეული სახეობის სწავლება, რა დროსაც ორგანიზმი, რეალური საფრთხის წარმოშობის პირობებში, კონკრეტულ მოქმედებათა წვრთნას გადის.

თავდაპირველად მოხალისეებს ელექტროენცეფალოგრამით ქალა-ტვინის სხვადასხვა უბნის აქტივობა გაუსინჯეს. ძილის დროს მოხალისეებს შიგადაშიგ აღვიძებდნენ და იმის მოყოლას სთხოვდნენ, თუ რას ხედავდნენ გაღვიძებამდე. ამრიგად, მოხალისეთა მონათხრობისა და ელექტროენცეფალოგრამის მონაცემთა შედარებით, მკვლევარებმა დაადგინეს, თუ ტვინის რომელი უბნები იყვნენ პასუხისმგებელნი ძილის დროს განცდილ ამა თუ იმ ემოციაზე. აღმოჩნდა, რომ ღამეული კოშმარების დროს განცდილი შიშები ტვინის იმ უბნებში მდებარეობენ, რომლებიც შეგნებასა და სოციალურ მოქცევაზე არიან პასუხისმგებელნი. ამავე უბნებში კი ყალიბდება საფრთხეზე რეაქციები ფხიზლობის დროს.

მკვლევარები აცხადებენ, რომ **ღამეული კოშმარების „სკოლა“ ქმედით დახმარებას უწევს ადამიანებს რეალურ ცხოვრებაში საფრთხეთა და საშინელ სანახაობათა გადატანაში.**

ᲭᲝᲠᲑᲘᲣᲠᲝ

ლაშა ტალახაძე:
არსად არ მივდივარ!

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ჩემპიონი, პლანეტის მრავალგზის რეკორდსმენი და მსოფლიოს უძლიერესი ძალოსანი ᲚᲐᲨᲐ ᲢᲐᲚᲐᲮᲐᲫᲔ „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე გამოეხმაურა გავრცელებულ ინფორმაციას, რომ თითქოსდა ქართველი სპორტსმენი სხვა ქვეყნის სახელით ასპარეზობას არ გამორიცხავს. ლაშა ტალახაძის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

„ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში ჩემმა ბოლო კომენტარმა, როგორც ვხვდები, დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ამიტომ განვმარტავ, რომ არცერთი ქვეყნით სახელით ასპარეზობას არ ვაპირებ. როგორც იცით, არაერთხელ მქონია სხვა ქვეყნის სახელით გამოსვლის შემოთავაზება, თუმცა, როგორც ხედავთ, არსად წავსულვარ და ასე იქნება მომავალშიც. არასოდეს არც კი დავინტერესებულვარ, რა თანხებზე იყო საუბარი და რას მთავაზობდნენ. ჩემთვის მხოლოდ საქართველოს დროშით ასპარეზობაა მისაღები და მხოლოდ ჩემი ჰიმნის აჟღერება.

რაც შეეხება კომენტარს, მე ვთქვი, რომ შესაძლოა ოდესმე სადმე წავიდე, ოღონდ ეს სპორტულ კარიერას არ ეხება.

ამ ეტაპზე მხოლოდ ის მადარდებს, თუ როდის შევძლებთ სრულფასოვანი ვარჯიშის დაწყებას, რომ მომავალში ჩვენი ჰიმნი კიდევ არაერთხელ ავაჟღერო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში ძალოსნობა საქართველოში ბევრად განვითარდა, გვაქვს სავარჯიშოდ კარგი პირობები, სრულფასოვანი შეკრებები და ჩემი შრომა და რეკორდები სახელმწიფოს მხრიდან მიფასდება. თუ კარგად მოუსმენთ ჩემ საუბარს, მიხვდებით, რომ სხვას არაფერს ვამბობ. მადლობა, პირიქით, ყველა იმ ადამიანს, ვინც სპორტის განვითარებისთვის ზრუნავს და შედეგზეც არის ასახული ეს ყველაფერი და ზუსტად ამას ვსაუბრობ ჩემს ინტერვიუშიც“, — ამბობს ლაშა ტალახაძე.

ᲙᲝᲑᲐ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ

ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲔᲠᲘ

უკვე - ცსკაც

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ცსკა-მ ესპანურ „ბასკონიასთან“ თორნიკე შენგელიას ტრანსფერის შესახებ მოლაპარაკება დაიწყო. აღნიშნულ ინფორმაციას ბერძნული გამოცემა Live Sport-ი ავრცელებს.

თუმცა, ამ ეტაპზე უფრო მეტი კონკრეტული ცნობა და გუნდების მხრიდან ოფიციალური დასტური ზემოხსენებული ინფორმაციის თაობაზე არ არსებობს.

თორნიკეს ცსკა-ს გარდა მადრიდის „რეალსა“ და „ოლიმპია მილანოსაც“ უკავშირებენ, ხოლო ვიტორიელებთან კონტრაქტი 2022 წლამდე აქვს გაფორმებული.

2019-2020 წლების სეზონში ლიგა ენდესაში შენგელია საშუალოდ 33 წუთში 16.6 ქულას, 6.3 მოხსნას, 2.7 პასს, 1.4 ჩაჭრასა და 0.3 დაფარებას აგროვებს. ცნობისთვის: ესპანეთის ჩემპიონატი ხვალ განახლდება.

ᲕᲘᲢᲐᲚᲘ ᲫᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲛᲝᲖᲐᲘᲙᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ „ლოკომოტივის“ ახალმა მთავარმა მწვრთნელმა მარკო ნიკოლიჩმა „ტამბოვთან“ სპარინგი შეაფასა, რომელშიც სოლომონ კვირკველიას არ უთამაშია. სერბმაც ქართველის შესახებ ზოგადი კომენტარი გააკეთა, მაგრამ მაინც ნიშანდობლივია, რადგან საჯაროდ პირველად ახსენა ჩვენებური.

„ტამბოვთან“ მატჩზე ბევრს არ ვისაუბრებ, რადგან სავარჯიშო ხასიათი ჰქონდა. მთავარია რა მოხდება კვირას, „ორენბურგთან“. დღეს ბევრი მნიშვნელოვანი ფეხბურთელი გვაკლდა: ჟამალეტდინოვი, ძმები მირანჩუკები, კვირკველია, თუმცა, ვინც მოედანზე იყვნენ, მათაც კარგად ითამაშეს.

ახლა არ გვაქვს იმის დრო, რომ სათამაშო სისტემა შევცვალოთ, ამიტომ ძველი ფეხბურთი უნდა შევინარჩუნოთ და მასში გარკვეული ცვლილებები შევიტანოთ. ცვლილებების დრო დადგება, მაგრამ ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია, რომ ჩემპიონთა ლიგაზე გავიდეთ“, — თქვა ნიკოლიჩმა.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის პრემიერლიგა 21 ივნისს განახლდება და მოსკოველები „ორენბურგს“ შეხვდებიან. „ლოკომოტივი“ 22 ტურის შემდეგ 41 ქულით მეორე ადგილზეა.

* * *

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ გერმანული გუნდი „კაიზერსლაუტერნი“ გაკოტრების საქმის წარმოებას იწყებს. Kicker-ის ინფორმაციით, **ამის მიზეზი გადახდისუუნარობაა, რის გამოც კლუბი მომდევნო სეზონისთვის ლიცენზიის მოპოვებას ვერ შეძლებს.**

„კაიზერს“ 24 მილიონი ევროს ვალი აქვს, რომლის გადახდას ამ ეტაპზე ვერ ახერხებს. ჯერჯერობით ბრძოლა გუნდის გადასარჩენად კიდევ მიმდინარეობს და ხელმძღვანელობა ცდილობს სამ ინვესტორთან შეთანხმების მიღწევას. ერთ-ერთი ლუქსემბურგული „დუდელანჟის“ პრეზიდენტი ფლავიო ბაკაა.

ამჟამად „კაიზერსლაუტერნი“ გერმანიის მესამე ბუნდესლიგაშია. ამ გუნდში არაერთ სახელოვან ფეხბურთელს უთამაშია, მათ შორის უახლოესი წარსულიდან — მიხაელ ბალაკსა და მიროსლავ კლოზეს.

1998 წელს კი ოტო რეჰაგელის თავკაცობით ბუნდესლიგაში ახლად გადასულმა პატარა გუნდმა „ვერცხლის სინის“ მოგება მოახერხა.

* * *

ᲖᲘᲜᲔᲓᲘᲜ ᲖᲘᲓᲐᲜᲛᲐ მადრიდის „რეალი“ მე-200 მატჩში გაწვრთნა და „სამეფო კლუბის“ ისტორიაში ეს შედეგი მესამეა.

ფრანგზე მეტჯერ „რეალისთვის“ მხოლოდ მიგელ მუნიოსს (605) და ვისენტე დელ ბოსკეს (246) უხელმძღვანელიათ. „ზიზუს“ რაც შეეხება, ხსენებული 200 თამაშიდან „რეალმა“ 132 მოიგო, 42-ჯერ ფრე ითამაშა და 26-ჯერ დამარცხდა. გარდა ამისა, ზიდანმა მადრიდულ გრანდს უკვე 10 ტიტული მოაგებინა.

შეგახსენებთ, რომ ლა ლიგის სეზონი „რეალმა“ „ეიბართან“ გამარჯვებით (3:1) განაახლა.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲝᲗᲐᲫᲔ



ᲮᲣᲗᲘ ᲒᲝᲚᲘ

გუბერნატორი გვარწმუნებს

ᲢᲝᲙᲘᲝᲡ გუბერნატორი იურიკო კოიკე ირწმუნება, რომ გაისად გასამართავი ოლიმპიური თამაშები უსაფრთხო იქნება.

მისი განცხადებით, ძალ-ღონეს არ დაიშურებენ ვირუსთან ბრძოლისთვის, რათა თამაშები უსაფრთხოდ ჩატარდეს იაპონელი თუ უცხოელი ათლეტებისთვის და გულშემატკივრებისთვის.

„ტოკიოს მოქალაქეებმა იციან, რომ ფორუმის ღირსეულად სამასპინძლოდ აუცილებელი იქნება კორონავირუსის მოქმედების შესუსტება. რომელი ტესტებია აუცილებელი, როგორ უნდა ჩავატაროთ? როგორი უნდა იყოს სოციალური დისტანცია? ეს ყოველივე მომავალ მსჯელობებზე გადაწყდება“ — აღნიშნავს იურიკო კოიკე და იქვე დასძენს, რომ ამ ეტაპზე დებატების ერთ-ერთი უმთავრესი თემა ხარჯების შემცირებაა.

ᲒᲔᲣᲐᲜ ᲓᲝᲚᲘᲫᲔ

ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲘᲓᲐᲜ

მიმხვედრი მიხვდება

ᲩᲕᲔᲜᲘ არ იყოს, ევროპელი მოკალმეებიც ხშირად წერენ რუსი ფანების აგრესიულობასა და „ბოღმის ბუკეტობაზე“. თუმცა, კალმის მონოტონურ წრიპინში არც იმის აღნიშვნა ავიწყდებათ, რომ რუსეთის სხვადასხვა სპორტული ნაკრებების ქომაგები მაინც განსაკუთრებულად პოპულარულები არიან და ამას მუდამ ერთადერთი ფაქტორი განაპირობებს.

ალბათ უკვე მიხვდით, რომ ქალ გულშემატკივრებზე გვაქვს საუბარი, რომლებიც როგორც რეალურ ცხოვრებაში, სტადიონებზეც ნამეტანი სითამამით გამოირჩევიან და რუსეთში თუ არა, სხვაგან სად შეიძლება გამოიძერწოს რეალობა, როდესაც ხურუშიანობასა შინა მყოფი ბიჭ-ბუჭობა სპორტულ ღონისძიებებზე ასპარეზობის ნახვის ნაცვლად გოგონებისთვის თვალის ჩასაპაჭუნებლად დადიან.

ჩვენში რასაც თვალის პაჭუნს ეძახიან, დიდ და უცნაურ რუსეთში სარეცელის თანაბარი რხევა და ჭრაჭუნი ჰქვია. თუმცა, ამ რეალობას რუსული ფეხბურთის მესვეურნი არცთუ დადებითად აფასებენ და იქაურ მედიაში სულ უფრო ხშირად იწერება სტატიები "სპორტში გარყვნილების ჩაბუდებაზე". რუსეთში რომ ვინმეს სექსი გაუკვირდება — აი, ეგ კი მართლა გასაკვირია...

ᲛᲐᲜᲣᲩᲐᲠ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს ‘ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს ორუჯ ხალილოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ორუჯ ხალილოვი (პ/ნ 36001034526), საგარეჯო, ს. ლამბალო, მე-3 ქ. №23

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

საგარეჯო, ს. ლამბალო, 21-ე ქ. №35 (საკადასტრო კოდი: 55.21.53.042https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 3000 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 16 ივნისი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 1 ივლისი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP66207120;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 662071

6. **მოვალე:** ორუჯ ხალილოვი (პ/ნ 36001034526), საგარეჯო, ს. ლამბალო, მე-3 ქ. №23;
სუბხან ხალილოვს (პ/ნ 36001031064), საგარეჯო, ს. ლამბალო, მე-13 ქ. №4.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს “ვითიბი ბანკი ჯორჯია“.

• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს “ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს “თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP66207120; ლოტის ნომერი: 662071).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 1 ივლისის 10:00 საათამდე.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს “ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს “ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მერი ქებურიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მერი ქებურია (პ/ნ 19001014641), ქ. ზუგდიდი, ლაზის ქ. №50

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ქ. ზუგდიდი, ლაზის ქ. №50 (საკადასტრო კოდი: 43.31.69.057https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 18019.59 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 16 ივნისი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 1 ივლისი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP66207520;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 662075

6. **მოვალე:** იოსებ კვიკვინია (პ/ნ 19001015157), ქ. ზუგდიდი, ლაზის ქ. №50.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს “ვითიბი ბანკი ჯორჯია“.

• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს “ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს “თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP66207520; ლოტის ნომერი: 662075).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 1 ივლისის 10:00 საათამდე.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს “ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს “ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს კობა ოქროპირიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** კობა ოქროპირიძე (პ/ნ 61004006820), ქობულეთი, გულო კაიკაციშვილის ქ. 19, ბინა 12.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი №163 (საკადასტრო კოდი: 05.32.09.027).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 106478.19 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2020 წლის 16 ივნისი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2020 წლის 1 ივლისი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP66207820;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 662078

6. **მოვალე:** კობა ოქროპირიძე (პ/ნ 61004006820), ქობულეთი, გულო კაიკაციშვილის ქ. 19, ბინა 12;
ელეონორა ცაცანიდი (პ/ნ 61004009406), ქობულეთი, გულო კაიკაციშვილის ქ. 19, ბინა 12;
ვლადიმერ ოქროპირიძე (პ/ნ 61004015178), ქობულეთი, გულო კაიკაციშვილის ქ. 19, ბინა 10.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს “ლიბერთი ბანკი“.

• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს “ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს “თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP66207820; ლოტის ნომერი: 662078).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 1 ივლისის 10:00 საათამდე.

ბავშვთა პორნოგრაფიაში ჩართვით გამოწვეული დანაშაულისთვის სანქციები იზრდება და მკაცრდება

გუშინ ბიუროს სხდომაზე გავიდა კანონპროექტი, რომლის მიზანიცაა კანონმდებლობის გამკაცრება ბავშვთა პორნოგრაფიისა და პროსტიტუციის შემთხვევებში.

● ასევე, დასჯადი ხდება 18 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეხვედრის შეთავაზება, მათ შორის ონლაინ საშუალებით.

● ბავშვთა მიმართ სქესობრივი დანაშაულის მზარდმა სტატისტიკამ აჩვენა საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობა.

● ცვლილებების მიზანია, კანონმდებლობის გამკაცრება ბავშვთა პორნოგრაფიისა და პროსტიტუციის შემთხვევებში, ასეთი დანაშაულისგან ბავშვების დაცვისათვის.

● მნიშვნელოვნად იზრდება სანქციები ბავშვთა წინააღმდეგ სქესობრივი დანაშაულებისთვის.

● ბავშვის ჩაბმა პროსტიტუციაში ან პორნოგრაფიაში მზრუნველობის, მეურვეობის ან მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი პირის ან ოჯახის წევრის მხრიდან დაისჯება 20 წლამდე ან თავისუფლების უვადო აღკვეთით.

● მთელ რიგ ნორმებს ემატება დამამძიმებელი გარემოება, როდესაც სქესობრივი დანაშაული ჩადენილია არასრულწლოვნის მიმართ ნდობის, ავტორიტეტული ან გავლენიანი მდგომარეობის გამოყენებით. ამისთვის განისაზღვრება ძალიან მკაცრი სანქციები.

● დასჯადი ხდება 18 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეხვედრის შეთავაზება, მათ შორის ონლაინ საშუალებით, პორნოგრაფიული მასალის დამზადების მიზნით.

● იკრძალება პირობითი მსჯავრის, ასევე, საპროცესო შეთანხმების გამოყენება ბავშვთა პორნოგრაფიის და პროსტიტუციის დანაშაულებისას.

● უქმდება ხანდაზმულობის ვადა ბავშვთა მიმართ სქესობრივი დანაშაულების შემთხვევაში.

ძველ ხიბულაში „ქართუმ“ ახალი საბავშვო ბაღი ააშენა და მუნიციპალიტეტს გადასცა

ბიძინა ივანიშვილის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით, სოფელ ძველ ხიბულაში ახალი საბავშვო ბაღი აშენდა და მუნიციპალიტეტს გადაეცა.

60 აღსაზრდელზე გათვლილი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბაღი ხობის მუნიციპალიტეტს ფონდის გამგეობის თავმჯდომარემ ნიკოლოზ ჩხეტიანმა გადასცა.

ბაღის შენობა სრულად აღჭურვილია და ადაპტირებულია აღსაზრდელებისთვის, ეზოში მოეწყო სათამაშო სივრცე. აქამდე სოფელში არსებული ერთადერთი საბავშვო ბაღი გამგეობის შენობაში ფუნქციონირებდა, სადაც არც საკმარისი სივრცე იყო და არც შესაბამისი პირობები.

„ეს არის რეალური საქმე და დაფასება, საქართველოს დამოუკიდებლობის მესაძირკვლისა და მისი ხსოვნის. ერთ-ერთი დიდი საქმეა იმ მამულიშვილურ საქმეთა შორის, რაც ბიძინა ივანიშვილმა განახორციელა წლების მანძილზე ქვეყნის სასიკეთოდ“!

გიორგი გამსახურდია.

ძველ ხიბულაში, ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით, უკვე დასრულდა ზვიად გამსახურდიას მემორიალური სახლის მშენებლობა, რომლის კონცეფციაზე მუშაობა სპეციალისტებთან ერთად მიმდინარეობს.

ხიბულაში ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით მიმდინარეობს ეკლესიის მშენებლობა.

მხოლოდ ხიბულაში მიმდინარე პროექტების მშენებლობაზე „ქართუ“ ფონდიდან 6 000 000 ლარზე მეტი იხარჯება.

ფონდ „ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარესთან ერთად ძველ ხიბულაში პრემიერის მრჩეველი რეგიონულ საკითხებში სოზარ სუბარი და სამეგრელო-ზემო-სვანეთის გუბერნატორი ალექსანდრე მოწერელია იმყოფებოდნენ.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე სოფელ ძველ ხიბულაში გასული წლის 29 მარტს იმყოფებოდა. ბიძინა ივანიშვილმა დანგრევის პირას მისული ის სახლი მოინახულა, სადაც ზვიად გამსახურდიამ სიცოცხლის ბოლო დღეები გაატარა და შენობის რეაბილიტაცია ფონდ „ქართუს“ დაავალა. ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მოსახლეობას ახალი საბავშვო ბაღის და ეკლესიის აშენებას 1 წლის წინათ დაჰპირდა.

ამოღებულია 20 მილიონის ღირებულების ნახატები

ბელარუსში, „ბელგაზპრომბანკის“ ოფისში ფულის გათეთრებისა და გადასახადებისგან თავის არიდების საქმის გამოძიების ფარგლებში ჩატარებული ჩხრეკისას, 20 მილიონი დოლარის ღირებულების 150-მდე ნახატი ამოიღეს. ამოღებულ ნივთებს შორის არის მარკ შაგალისა და ჰაიმ სუტინის ტილოები.

ტელეკომპანია „ბელარუს 1-ის“ ცნობით, საქმის ფარგლებში ამოღებულ ნახატებს ქვეყნიდან გასატანად ამზადებდნენ. შაგალისა და სუტინის ნამუშევრები „ბელგაზპრომბანკმა“ „სოტბის“ აუქციონზე 2013 წელს შეიძინა და მას შემდეგ ტილოები ბანკის კორპორაციულ კოლექციაში ინახება.

ბელარუსის სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის ფინანსური საგამოძიებო კომიტეტის თანამშრომლებმა მინსკში „ბელგაზპრომბანკის“ მთავარ ოფისში ჩხრეკა 11 ივნისს ჩაატარეს. მოგვიანებით კი, ფულის გათეთრებისა და გადასახადებისგან თავის არიდების ბრალდებით დააკავეს ბანკის 15 მოქმედი და ყოფილი თანამშრომელი.

ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ განაცხადა, რომ ბანკის მუშაობის შესწავლა მისი განკარგულებით ხორციელდება. ლუკაშენკოს თქმით, ბანკის მმართველი საბჭოს თავმჯდომარე ბაბარიკო პრეზიდენტად კენჭისყრას იმისთვის გეგმავს, რომ პოლიტპატიმრის სტატუსი მოიპოვოს.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ევროპა შიდა საზღვრების გახსნას იწყებს

ბელგია, ხორვატია, შვეიცარია და გერმანია სასაზღვრო შეზღუდვებს ხსნიან.

ასევე დღეიდან ჩეხეთი 26 ქვეყანასთან შეუზღუდავ მიმოსვლას იწყებს, თუმცა ეს არ ეხება ბელგიელ, პორტუგალიელ, შვედ და ბრიტანელ ტურისტებს.

საბერძნეთი საზღვრებს ავსტრალიიდან, ახალი ზელანდიიდან, იაპონიიდან და სამხრეთ კორეიდან ჩასული მოქალაქეებითვის ხსნის. ავსტრია სასაზღვრო შეზღუდვების მოხსნას დღეიდან იწყებს, თუმცა ეს არ ეხება პორტუგალიიდან, ესპანეთიდან, შვედეთიდან და დიდი ბრიტანეთიდან ჩასულ მოგზაურებს.

ევროკავშირსა და შენგენის ზონაში თავისუფალი გადაადგილების აღდგენისთვის საკუთარი წვლილი შეაქვს გერმანიას. ქვეყანამ საზღვრებზე კონტროლი გააუქმა, რომელიც მარტის შუა რიცხვებიდან მოქმედებდა.

ესპანეთი ევროკავშირის ქვეყნებთან, პორტუგალიის გარდა, თავისუფალ მიმოსვლას 21 ივნისიდან დაიწყებს. პორტუგალიასთან საზღვარი კი 1 ივლისამდე ჩაკეტილი დარჩება.

დააკავეს „აყვავებული სომხეთის“ მომხრეები

კავკასიის რეგიონში კორონავირუსის გავრცელებით ლიდერ სომხეთში ინფიცირებულთა რაოდენობა ყოველდღიურად რეკორდულად მატულობს. მიუხედავად კორონავირუსული პანდემიისა, ქვეყნის დედაქალაქში რამდენიმე დღეა საპროტესტო აქციიები იმართება.

ერთ-ერთ აქციაზე სომხეთის პოლიციამ დააკავა პარლამენტის წევრის, პარტია „აყვავებული სომხეთის“ ლიდერის გაგიკ ცარუკიანის 250 მხარდამჭერი.

პოლიციის ინფორმაციით, ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირები არ ემორჩილებოდნენ სოციალური დისტანციის დაცვისა და აქციის შეწყვეტის მოთხოვნას.

დაკავებულები სამართალდარღვევის ოქმების შედგენის შემდეგ გაათავისუფლეს, თუმცა, რამდენიმე მათგანის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე მასობრივი არეულობის ორგანიზების და ძალადობის მუხლებით აღიძრა. აღსანიშნავია, რომ გაგიკ ცარუკიანის მხარდამჭერებმა აქცია 14 ივნისს გამართეს. ისინი აპროტესტებდნენ ოპოზიციური პარტიის ლიდერის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეების აღძვრას. საქმე ეხება ცარუკიანის მფლობელობაში არსებული კომპანიების უკანონო სამეწარმეო საქმიანობას და ამომრჩეველთა მოსყიდვას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქოვანის (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოჩულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

ISSN 2233-3851

9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0401; ევრო - 3.4387;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.8351;
100 რუბლი - 4.3561; თურქული ლირა - 0.4451;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7883;
1000 სომხური დრამი - 6.3108.

ამინდი 16 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+17,	დღე	+37
მთიანი რაიონები -	ღამე	+10,	დღე	+32
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+15,	დღე	+35
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე	+33
თბილისი:	ღამე	+19,	დღე	+37

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge